www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 10 ივლისი, 2012 წელი. | №3060 (153) | ფასი 50 თეთრი

## თავდაცვის ახალი მინისტრის პრიორიტეტული მიმართულებები

### დიმიტრი შაშკინი ქართული ჯარის ახალ სლოგანს ახმოვანებს

დათო გამისონია



*საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ახლად დანიშნული მოადგილეები და დეპარტამენტის ხელმძღვანელები თანამშრომლებს უკვე წარუდგინა. სამინისტროს ახალი გუნდი პრიორიტეტული პროექტების განხორციელებას გეგმავს. ინიციატივების შესახებ "24 საათი" დიმიტრი შაშკინს ესაუბრა.*

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## ადამიანები კონფლიქტის რეგიონში იმსახურებენ მშვიდობას

### ინტერვიუ ეუთო-ს გენერალურ მდივანთან ლამბერტო ზანიერთან

*10 ივლისს საქართველოში ჩამოდის ეუთო-ს გენერალური მდივანი ლამბერტო ზანიერი. ეს ვიზიტი შდგება კავკასიური ტურნეს ფარგლებში. 2009 წლიდან საქართველოში შეწყდა ეუთო-ს მისიის მუშაობა, რაშიც რუსეთმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. სწორედ ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი ეუთო-ს გენერალურ მდივანთან.*



**- ცხადია, რომ საქართველოში ეუთო-ს მისია რუსეთის ზეწოლის შედეგად გაუქმდა. ამავე დროს, რუსეთმა უარი თქვა საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვებაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ეს საკმაოდ მყიფეს ხდის უსაფრთხოებას კონფლიქტის ზონებში. საერთაშორისო დამკვირვებლების არდაშვებამ ხელი შეუწყო ტრანსნაციონალური დანაშულის ფართოდ გავრცელებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. როგორც ეუთო-ს გენერალური მდივანი, რას ეტყვით ქართულ საზოგადოებას - რა მექანიზმებით შეიძლება ეუთო-ს მისიის აღდგენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.**

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

## ყუბანის წყალდიდობის ექო

ივა შილაკაძე

ორშაბათს რუსეთში გლოვა იყო გამოცხადებული კრასნოდარის მხარეში წყალდიდობის შედეგად დაღუპული ადამიანების, ასევე უკრაინაში, საგზაო-სატრანსპორტო ავარიის დროს რუსი მომლოცველების დაღუპვის გამო. ოფიციალური ინფორმაციით, გუშინდელი დღისთვის უკვე ნაპოვნი იყო 171 ადამიანის ცხედარი. მათგან დილისთვის მხოლოდ 20 იყო ამოუცნობი. ავტობუსის ავარიას უკრაინაში 14 კაცი შეეწირა. წყალდიდობის დროს უკვალოდ დაკარგულთა შესახებ გუშინ ინფორმაცია არ გავრცელებულა. გუშინწინ კი დაკარგულად დაახლოებით 100 ადამიანი მიიჩნეოდა. კრასნოდარის მხარის ხელისუფლების ცნობით, წყალდიდობამ 26,5 ათასი ადამიანი დააზარალა. 3,3 ათასმა კაცმა ქონება მთლიანად დაკარგა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე



## აღმოსავლეთის პარტნიორობა, საქართველო და ევროკავშირი

### ევკომისარ შტეფან ფულეს სტატია

**2009 წლის მაისში, ევროკავშირმა სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსიასთან, საქართველოსთან, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინასთან ერთად წამოიწყო აღმოსავლეთის პარტნიორობა - ევროკავშირსა და ექვს პარტნიორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ასოცირების და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის ამბიციური მიზნით. ამოქმედების დღიდან, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისაკენ გარდაქმნის გზაზე პარტნიორების ხელშეწყობითა და მათი რეფორმების პროცესების მხარდაჭერის მეშვეობით, აღმოსავლეთის პარტნიორობამ დაადასტურა, რომ ის მნიშვნელოვანი და საჭირბოროტოა.**

ჩვენი პარტნიორები თანამედროვე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის რთული გზის ძალიან განსხვავებულ ეტაპებზე არიან. ასევე განსხვავდება მათი მიზანდასახულობა ამ მიზნის მისაღწევად. მიუხედავად ამისა, თვით მიზანი მკაფიო რჩება.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6473 |
| 1 ევრო | 2.0395 |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5604 |
| 1 თურქული ლირა | 0.9049 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0494 |

| | |
|---|---|
| თბილისი | 29°C - 20°C |
| ქუთაისი | 28°C - 20°C |
| თელავი | 29°C - 17°C |
| ზუგდიდი | 27°C - 19°C |
| ბათუმი | 26°C - 19°C |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## ჯაზი ბასის აკორდებით



ია ვეკუა

ერთი კვირაც და ბათუმი წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენის მასპინძლობას დაიწყებს - 17 ივლისს ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალი მეექვსედ გაიხსნება და მეექვსედ გვაუწყებს, რომ მომდევნო დღეების განმავლობაში ეს ქალაქი მხოლოდ ჯაზით იცხოვრებს. კომპანია "ისტერნ პრომოუშენის" მიერ ორგანიზებული ჯაზზეიმი 22 ივლისამდე გასტანს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

| | | |
|---|---|---|
| ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს | ~~5.90~~ | 4.90 |
| ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი | ~~9.00~~ | 4.00 |
| ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები | ~~6.90~~ | 3.00 |
| ქართველები ამერიკაში | ~~17.90~~ | 11.90 |
| კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი | ~~15.90~~ | 11.00 |

### ცვლილებები მთავრობის კანცელარიაში

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების კორექტირდა. ახალი პრემიერ-მინისტრის დამტკიცების შემდეგ საქართველოს მთავრობამ "საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე" ახალი დებულება მიიღო.

დებულებაში სიახლეა ის, რომ მთავრობის კანცელარიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრის არასამთავრობო სექტორსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის უზრუნველყოფა დაევალა.

ასევე, თუ კანცელარია აქამდე სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობასა და მონიტორინგს ახორციელებდა, ახლა ის სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების შესახებ წინადადებებს შეიმუშავებს და მათ განხორციელების პროცესსაც გაუწევს მონიტორინგს.

მთავრობის კანცელარიის ფუნქცია გახდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების წარმომადგენლობებთან მოლაპარაკებებისა და მიმოწერების წარმოებაც და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონული პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საქართველოს მთავრობის ურთიერთობის კუთხით საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობის ხელშეწყობა.

ამასთან, შესუსტდა კანცელარიის ფუნქციები ეკონომიკური მიმართულებით.

კერძოდ, ამ მიმართულებით კანცელარიის ფუნქცია იქნება მხოლოდ ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და პროგნოზული პარამეტრების ანალიზი, აღნიშნულის თაობაზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენა. აქამდე კი, ამ საქმიანობის გარდა, კანცელარიას შემდეგი ფუნქციებიც ჰქონდა: ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და საშუალოვადიანი სტრატეგიების ანალიზი; საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების, გადასახადების ადმინისტრირების შესახებ წინადადებების შემუშავება; ბიზნესის წახალისების, საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებისა და უცხოური საინვესტიციო რესურსების მოზიდვის საკითხზე რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენა; საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ფისკალური პოლიტიკისა და მისი განხორციელების ანალიზი.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრის პროექტების კოორდინატორის ქეთევან კიტოვანის დედის

**თამარ ბერიშვილი-კიტოვანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ეუთო-მ რუსული ოკუპაცია აღიარა

## გიგი წერეთელი ეუთო-ს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

მარი ახსიაშვილი

ეუთო-მ აღიარა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ძალაში შევიდა საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ მომზადებული რეზოლუცია. დოკუმენტში საუბარია საქართველოში დევნილების მდგომარეობისა და რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების არშესრულების შესახებ. გარდა ამისა, რეზოლუციის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიები ოკუპირებულ ტერიტორიებად არის მოხსენებული.

გუშინვე, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე ეუთო-ს ოთხი ახალი ვიცე-პრეზიდენტი აირჩიეს. მათ შორის ერთ-ერთია ქართული დელეგაციის წევრი და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გიგი წერეთელი. წერეთელმა 126 ხმა მიიღო, ხოლო რუსული დელეგაციის წევრმა - 80. შესაბამისად, ეს უკანასკნელი ეუთო-ს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას ვერ დაიკავებს.

ქართული დელეგაციის წევრის გიგი წერეთლის განცხადებით, არჩევნები დაძაბულ ვითარებაში იმართებოდა. მისივე შეფასებით, რეზოლუცია საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია.

**"რეზოლუციის მიღების წინააღმდეგ სიტყვით მხოლოდ რუსული დელეგაცია გამოვიდა, ხოლო ასამბლეის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დოკუმენტს მხარი დაუჭირა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსული დელეგაციის მიერ შეთავაზებული არც ერთი შესწორება არ გაუთვალისწინებიათ. ხოლო ის ფაქტი, რომ ეუთო-ს ვიცე-პრეზიდენტად ქართული დელეგაციის წევრი აირჩიეს, საქართველოსადმი მხარდაჭერის გამოხატვის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია,"** - განუცხადა წერეთელმა "24 საათს" და დასძინა, რომ რუს კანდიდატს ამ პოსტზე ხმები არ ეყო.

ეუთო-ს ქართველი ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია წევრ ქვეყნებში საარჩევნო პროცესებზე დაკვირვება. **"სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობამ უკვე მოიწვია ეუთო-ს დამკვირვებლები, რათა თვალი ადევნონ წინასაარჩევნო პროცესებს,"** - აღიშნა წერეთელმა.

მიღებულ რეზოლუციაში, რომლის ავტორია პოლონეთის წარმომადგენელი მიხაელ შებრა, ნათქვამია, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა დაბეჯითებით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის პარლამენტს, ასევე აფხაზეთის (საქართველო) და სამხრეთ ოსეთის (საქართველო) **დე ფაქტო** ხელისუფლებებს, დაუბრკოლებლად დაუშვან ევროკავშირის საერთაშორისო დამკვირვებლების მისია აფხაზეთის (საქართველო) და სამხრეთ ოსეთის (საქართველო) **ოკუპირებულ ტერიტორიებზე**, როგორც იყო განსაზღვრული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით. ასევე, სრულად ითანამშრომლონ ევროკავშირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიასთან.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა ასევე მოუწოდებს რუსეთის, აფხაზეთის (საქართველო) და სამხრეთ ოსეთის (საქართველო) დე ფაქტო ხელისუფლებებს, უზრუნველყონ შიდაგადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება, ქართული, აფხაზური (საქართველო) და სამხრეთ ოსური (საქართველო) საზოგადოებების დაახლოების მიზნით. გარდა ამისა, მოუწოდებს ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს - აღადგინონ ეუთო-ს მისია საქართველოში, როგორც ნდობის აღდგენის ერთ-ერთი მექანიზმი.

საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებასაც მოუწოდებს, უზრუნველყოს 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზება ეუთო-ს ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა მეორე ევროპული გაერთიანებაა, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის შემდეგ, რომელმაც რუსული ოკუპაცია ცნო.

# თიბისი ბანკმა 2012 წლის საუკეთესო ბანკის სტატუსი მოიპოვა

**მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ჟურნალმა ევრომანი" (Euromoney) თიბისი ბანკი საქართველოში 2012 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა.**

თიბისი ბანკი Awards for Excellence" სერიაში შეფასდა და საქართველოს მასშტაბით კონკურენტ ბანკებს შორის უმაღლესი შეფასება მოიპოვა.

ჯილდოს მიზანია იმ ბანკების აღიარება, რომლებიც გამოირჩევიან ბაზარზე მიღწეული შედეგებით, ნოვატორობით და ლიდერობით. ევრომანიმ" ხაზი გაუსვა თიბისი ბანკის 2011 წლის მიღწევებს, ფილიალების ეფექტურობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს კონკურენტებს შორის და მთლიანად თიბისი ჯგუფის წარმატებებს მიკროსაფინანსო სექტორში. ჟურნალმა ასევე აღნიშნა ბანკის Multichannel საბანკო პლატფორმა, რომელიც საუკეთესოა რეგიონის მასშტაბით.

ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ ასეთი პრესტიჟული ჯილდო მივიღეთ და მით უფრო სასიამოვნოა, რომ ევრომანიმ" უკვე მეორედ დაგვაჯილდოვა," -ამბობს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე.

ჟურნალი ევრომანი" (Euromoney) 1998 წლიდან იკვლევს ბანკებს მსოფლიო მასშტაბით, 100-მდე ქვეყანაში. დაჯილდოება ხდება წელიწადში ერთხელ, 20-მდე სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით. ევრომანის" ჯილდო საბანკო სექტორისთვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება.

2012 წელს ეს უკვე მესამე ჯილდოა თიბისი ბანკისთვის. წლის დასაწყისში ბანკმა მიიღო საერთაშორისო საფინანსო სექტორში მოღვაწე კიდევ ორი ავტორიტეტული გამომცემლობის, Global Finance-ისა და EMEA Finance-ის ჯილდოები. მათ შორის, Global FInance-ისა და Euromoney-ს ნომინაციებში თიბისი ბანკი უკვე მეორე წელია იმარჯვებს.

# "საქართველოს ბანკმა" ევროობლიგაციების გამოშვებით 250 მილიონი აშშ დოლარი მოიზიდა

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

“საქართველოს ბანკმა" 250 მილიონი დოლარის მოცულობის ევრობლიგაციები გამოუშვა. ფასიანი ქარალდების ემისია დიდ ბრიტანეთში მოხდა და სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-ის ინფორმაციით, განთავსების განაკვეთმა 7,75% შეადგინა. Fitch Ratings-მა აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს “BB-” რეიტინგი მიანიჭა.



"საქართველოს ბანკის" ბანკის გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის განცხადებით, ევროპაში მიმდინარე კრიზისი მიუხედავად, ობლიგაციაზე განაცხადი გააკეთა 50-ზე მეტმა ინსტიტუციონალურმა ინვესტორმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, აზიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ფინანსური ინსტიტუტები ენდობიან საქართველოს ბანკის სტაბილურობს".

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის განცხადებით, ობლიგაციების განთავსების შედეგად შემოსული თანხები მოხმარდება სამუშაო კაპიტალის საჭიროებებს, ასევე მოახდენს ბანკის ფინანსური რესურსების საშუალო ღირებულების ოპტიმიზაციას. ახალი ფინანსური ტალღის შემოდინება საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასაც გამოიწვევს, თუმცა ეს მყისიერი არ იქნება და საპროცენტო განაკვეთი ეტაპობრივად დაიკლებს" განაცხადა ირაკლი გილაურმა.

"საქართველოს ბანკის" 250 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ევროობლიგაციების განთავსებას ხელმძღვანელობდნენ Credit Suisse (Europe) Limited, J.P. Morgan Securities Ltd. და Merrill Lynch International. ბანკის ევროობლიგაციებს რეიტინგი მიენიჭა სამი გლობალური სარეიტრინგო სააგენტოსგან: BB- (Fitch), Ba3 (Moody’s) BB- (Standard & Poor’s). ობლიგაციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.შეგახსენებთ, რომ "საქართველოს ბანკის" 15 ივნისიდან ფუტსი (FTSE) 250 ინდექსში შევიდა და ბანკი კაპიტალიზაციით ფუტსი 250 უმსხვილეს კომპანიას შორის ირიცხება. ინდექსში მოსახვედრად კი "საქართველოს ბანკმა" არაერთი უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტი და კრიტერიუმი დააკმაყოფილა. მათ შორის, საბაზრო კაპიტალიზაციისა და აქციების თავისუფალი მიმოქცევის მაღალი მაჩვენებლები.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# თავდაცვის ახალი მინისტრის პრიორიტეტული მიმართულებები

პირველი გვერდიდან



**- ბატონო დიმიტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიღებულ გამოცდილებას თავდაცვის სფეროში როგორ გამოიყენებთ?**

- ახალი თანამდებობა ჩემთვის დიდი გამოწვევა და საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის მხრიდან ნდობის დიდი მანდატია. ეს სფერო ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი დროებით ოკუპირებულია. იმის გამო, რომ რთული მეზობელი გვყავს, თავდაცვა უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

განათლების სფერო ჩემთვის დიდი გამოცდილების წყარო იყო. ის ქვეყანაში ყველაზე დიდი ინსტიტუციაა. დიდ გამოცდილებას იძენ, როდესაც ამ სფეროში მუშაობ. დარწმუნებული ვარ, რომ ახალ გუნდთან, გაერთიანებულ შტაბთან და სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ყველა დავალებას შევასრულებთ; ქვეყნის წინაშე მდგარ ყველა გამოწვევას ვუპასუხებთ.

**- თქვენს ბიოგრაფიაში აღმოვაჩინე, რომ 1996 წელს ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში - ახალციხის სამხედრო ბაზაზე მსახურობდით.**

- მე შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ვმუშაობდი და სამხედრო წოდებაც (ლეიტენანტი) მაქვს. ეს სფერო ჩემთვის განსაკუთრებით ახალი არ არის. ჩემთვის დიდი პატივია იმ ადამიანებთან ერთად მუშაობა, რომლებიც ახლა თავდაცვის სისტემაში მსახურობენ. ჩვენ, ამ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს გავაკეთებთ.

გუშინ კოლეგებს ახალი მოადგილეები, დეპარტამენტის ახალი უფროსები წარვუდგინე. თავდაცვის სისტემაში მხოლოდ 15-მდე თანამდებობის პირი შეიცვალა. ზოგი თანამშრომელი შინაგან საქმეთა სამინისტროში ბაჩოს გაჰყვა. ზოგი, ჩემთან ერთად, სასჯელაღსრულებიდან და განათლებიდან მოვიდა. როცა ხელმძღვანელი იცვლება, ასეთი გადაადგილებები ბუნებრივია, თუმცა ეს ინსტიტუციის მუშაობაზე არანაირ გავლენას არ მოახდენს. მცირე ცვლილებების შემდეგ უკვე დავიწყეთ რეალურად მუშაობა. დღეიდან ყველამ მიიღო დავალება.

**- მოადგილეების უმრავლესობა განათლების სამინისტროდან გადმოიყვანეთ...**

- ჩემს პირველ მოადგილედ კოკა სეფერთელაძე დაინიშნა. ის არის ადამიანი, რომელთან ერთადაც 2009 წლიდან ვმუშაობ. კოკა პროფესიონალია, რომელსაც გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება შეუძლია, რაც მნიშვნელოვანია. მას სრულად ესმის, რამდენად რთული და მნიშვნელოვანი ამოცანები დგას ჩვენ წინაშე.

პრემიერ-მინისტრის მადლობელი ვარ, რომ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა და ჩემს მოადგილედ ასევე დაინიშნა ჩემი მეგობარი დათა ახალაია. ჩვენ ერთად ჯერ კიდევ სასჯელაღსრულების სისტემიდან, 2009 წელს დავიწყეთ მუშაობა - ორივე ძალოვან სტრუქტურაში ვიყავით და, ბუნებრივია, კონტაქტი გვქონდა.

ჩემი დიდი ხნის კოლეგაა ასევე მაია სიფრაშვილი. ის 4 წელია, ჩემთან ერთად მუშაობს. მან საქართველოს პრეზიდენტისგან ბრწყინვალების და ღირსების ორდენები მიიღო. ამ ადამიანმა ნულიდან შექმნა პროგრამა "ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად", რომელიც ამერიკიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანას ემსახურება. სკოლებში 1500 მოხალისე ინგლისურენოვანი პედაგოგი ახლაც ასწავლის ქართველ ბავშვებს ინგლისურ ენას. ეს განათლების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია.

თავდაცვის მინისტრად გადმოსვლის შემდეგ, დათო ნარდაია დავაწინაურე - ის სამხედრო აკადემიის რექტორი და ამავდროულად ჩემი მოადგილე იქნება.

სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად გენრიეტა მუმლაძე დაინიშნა - ადამიანი, რომელიც სასჯელაღსრულებისა და განათლების სისტემებში ჩემთან ერთად მუშაობდა. იგივე ეხება გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელ ირაკლი ანდრიაშვილს. განათლების და მეცნიერების სამინისტროდან ეკონომიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის გუნდიც გადმომყვა.

გაერთიანებულ შტაბში მხოლოდ ერთი ცვლილებაა - სოსო თოფურიძე ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა. დანარჩენი ცვლილებები სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ეხება, რაც ამ სფეროში დაგეგმილი რეფორმების განხორციელებისთვის არის საჭირო.

**- ჩამოყალიბებული გაქვთ თუ არა ხედვა, რა მიმართულებითაც უნდა იმუშაოს თავდაცვის სფერომ?**

- საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მხრიდან კონკრეტული მითითება გვაქვს. დღეს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს დავავალე ე.წ. სამი T-ს კონცეფციის მომზადება დაიწყონ.

ამერიკელ რეინჯერებს აქვთ სლოგანი - No man gets left behind ("ჩვენ არც ერთ ადამიანს არ ვტოვებთ"), ამას ქართულ რეალობაში ემატება - No man gets left behind in peace and in the war (არც მშვიდობიან დროს და არც ომში არც ერთ ადამიანს არ მივატოვებთ) - დღეიდან ეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სლოგანი ხდება. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ არც ერთ ადამიანს, რომელიც ჩვენს სისტემაშია, არც ომში და არც მშვიდობიან პერიოდში არ მივატოვებთ.

დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში სამინისტრო კონკრეტულ სტრატეგიას შეიმუშავებს - რა უნდა შევთავაზოთ ყველა ჯარისკაცს, სერჟანტსა და ოფიცერს.

პირველი T - Total Care - გულისხმობს სახელმწიფოს ზრუნვას თითოეულ სამხედროსა და მის ოჯახზე. ჩვენი მხრიდან აღებული ვალდებულება აუცილებლად შესრულდება. 2 კვირაში ცნობილი გახდება, რა ვალდებულებას აიღებს სახელმწიფო ყველა სამხედრო მოსამსახურის წინაშე.

მე-2 T - ე.წ. Total Training-ია. ჩვენ რაც შეიძლება მეტი სწავლა და ვარჯიში გვჭირდება იმისთვის, რომ ნატო-ს სტრუქტურებში ინტეგრაცია დავაჩქაროთ. მინისტრები იცვლებიან, მაგრამ ხშირად ვამბობ, რომ ვარდების რევოლუციის მთავარი მონაპოვარი ის არის, რომ საქართველოს მართავენ არა პიროვნებები, არამედ ინსტიტუციები. მინისტრის შეცვლა ინსტიტუციის შერყევას არ ნიშნავს. პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანა ნატო-ში ინტეგრაცია და ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაგრძელება იყო, დაჩქარდება. შევასრულებთ ყველა ვალდებულებას, რომლებიც საერთაშორისო თვალსაზრისით და ავღანეთის მისიის მიმართულებით გვაქვს აღებული.

**ჩვენი პოლიტიკა არის თავდაცვითი და ორიენტირებულია თანამშრომლობაზე ჩვენს პარტნიორებთან ვაშინგტონსა და ბრიუსელში. ჩვენთვის ეს ურთიერთობები უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ვიღებთ ძალიან დიდ დახმარებას ჩვენი პარტნიორებისგან, ამიტომ ჩვენთვის ყველა საერთაშორისო ვალდებულების შესრულება მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.**

მე-3 მიმართულება, რომელსაც მე ვგულისხმობდი - Total Defense (ტოტალური თავდაცვა) - უმნიშვნელოვანესი კომპონენტია იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტამდე დროებით ოკუპირებულია. კონცეფცია, რომელიც უკვე გამოცხადებულია, უფრო განვითარდება. მისი უმნიშვნელოვანესი ასპექტი არის რეზერვი (ნებაყოფლობითი და სავალდებულო რეზერვი), რომელიც თავდაცვის ფუნდამენტის ნაწილია.

ჩვენ არავის არაფერს ვერჩით. მხოლოდ ჩვენი ტერიტორიების დაცვა გვინდა.

ჩვენი მთავარი სათქმელია ის, რომ არავის ვემტერებით. ჩვენი ჯარის კომპეტენციის ამაღლება მუდმივად ხდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების განვითარება. იმ საწარმოებში, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის, 7000 ადამიანამდეა დასაქმებული. ეს ნიშნავს, რომ 7000 ოჯახს სარგებელი, შემოსავალი აქვს. ეს დარგი განვითარდება და თითოეული ოჯახი მეტ სარგებელს ნახავს.

სამხედრო ტექნიკის გარდა, მნიშვნელოვანია იმ ფაბრიკების მუშაობაც, რომლებიც ტანსაცმელს და ფეხსაცმელს კერავენ. ასევე, კომპანიები, რომლებიც თავდაცვის სისტემაში მშენებლობაზე მუშაობენ.

სამხედრო მრეწველობა, ვიწრო გაგებით, მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მრეწველობის შექმნა არ არის. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ყველა დანარჩენი კომპონენტი, რომელიც თავდაცვის განვითარებას უწყობს ხელს.

**- რაც შეეხება სამხედრო მრეწველობის განვითარებას, ბოლო დროს არაერთი ქართული სამხედრო მანქანა და იარაღი შეიქმნა.**

- კვლევითი ინსტიტუტები ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქვეყანაში თავდაცვით იარაღზე არსებული მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ. ამ მიმართულებით ბევრი მაღალი რანგის პროფესიონალი მუშაობს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავიანთი შრომის შედეგებით ქართულ საზოგადოებას კიდევ არა ერთხელ გაახარებენ.

**- როდესაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი იყავით, რეპეტიტორების წინააღმდეგ არაერთი ღონისძიება გაატარეთ. ამბობდით, რომ ყველა აბიტურიენტს, სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, თანაბარი შესაძლებლობები უნდა მიეცეს. თქვენს ამ ხასიათს დავინახავთ თუ არა წვევამდელების მიმართ. დღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ის ახალგაზრდები თავისუფლდებიან, რომლებსაც გაწვევის ყოველ ჯერზე დაწესებული თანხის გადახდის საშუალება აქვთ. სავალდებულო სამსახურის მოხდა მხოლოდ დაბალი შემოსავლის მქონე პირებს უწევთ.**

- ჩვენ ახლა ვმუშაობთ იმისთვის, რომ წვევამდელთა ინსტიტუტი მაქსიმალურად ოპტიმიზებული იყოს და ჩვენი ქვეყნის რეალობას მაქსიმალურად შეესაბამებოდეს. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ გაწვევის გარეშე ქვეყნის თავდაცვა შეუძლებელია. ჩვენ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ. საქართველო მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული ჯარის მეშვეობით თავისი ტერიტორიის დაცვას ვერ შეძლებს. ჩვენი მთავარი ამოცანა, რა თქმა უნდა, რეზერვის შექმნაა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბევრი სხვადასხვა მექანიზმები არსებობს.

თქვენ პირველი ხართ, ვისაც ერთ-ერთი იდეის შესახებ გეუბნებით - ველოსიპედს არ ვიგონებთ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია დანერგილი და ბრწყინვალედ მუშაობს, სტიმულირების სისტემაა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კომპონენტი განათლებაა. საუბარი იყო იმის შესახებ, რომ, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადს ვერ იხდიან. ახლა ვმუშაობთ (ჯერ მხოლოდ და მხოლოდ მონახაზია) და რამდენიმე კვირაში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება ახალი ინიციატივა. კერძოდ, იმ ადამიანებს, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების სურვილი აქვთ, ჯარში სამსახურის შემდეგ თავდაცვის სამინისტრო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას დაუფინანსებს, რაც სტიმული იქნება, ქვეყანასაც ემსახურონ და უმაღლესი განათლებაც მიიღონ.

## მიხეილ სააკაშვილმა მოლდავეთის პრემიერ-მინისტრს უმასპინძლა

საქართველოს პრეზიდენტმა მოლდავეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ ფილატს ყვარელში, საკუთარ კარ-მიდამოში უმასპინძლა. შეხვედრა არაფორმალურ გარემოში წარიმართა.

როგორც ფეისბუკში, პრეზიდენტის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მიღწევებზე ისაუბრა.

პრეზიდენტის თქმით, იმ ლიდერთა რიცხვს, რომლებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველო არაკორუმპირებული და უსაფრთხო ქვეყანაა, მოლდავეთის პრემიერ-მინისტრიც შეემატა.

## საქართველოს საგარეო უწყება მწუხარებას გამოთქვამს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეში ძლიერი წყალდიდობის შედეგად მრავალრიცხოვანი მსხვერპლის გამო. როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

საქართველო, რუსული მხარის შეხედულებისამებრ, მზად არის ნებისმიერი სახის დახმარების გასაწევად.

## სამცხე-ჯავახეთს ახალი გუბერნატორი ჰყავს

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად ივანე წიკლაური დაინიშნა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსი" იუწყება. ივანე წიკლაური მანამდე შსს-ს დაცვის პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მან გუბერნატორის პოსტზე ლაშა ჭკადუა შეცვალა, რომელიც ახლად შექმნილ დასაქმების სამინისტროში გადაიყვანეს.

ლაშა ჭკადუა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად 2008 წლის 17 დეკემბერიდან მუშაობდა.

## "ქართულმა ოცნებამ" ბათუმში ამომრჩეველთა სიების გადამოწმება დაიწყო

კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" ბათუმში "კარდაკარის" პრინციპით ამომრჩეველთა სიების გადამოწმება დაიწყო. როგორც გუშინ ბათუმში გამართულ ბრიფინგზე კოალიციის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ავთანდილ ბერიძემ აღნიშნა, პარტიის აქტივისტები გადაამოწმებენ ბათუმის ყველა ოჯახში საარჩევნო სიებს.

"კოალიცია "ქართული ოცნების" ბათუმის ოფისში 10 დღის განმავლობაში 400-მდე აქტივისტს ჩაუტარდა ტრენინგი. ჩვენი აქტივისტები შევლენ ბათუმის ყველა ოჯახში, შეხვდებიან ამომრჩევლებს და დაადგენენ იმ უზუსტობებს და შეუსაბამობებს, რომლებიც მრავლადაა საარჩევნო სიებში, მიუხედავად დაზუსტების მრავალი მცდელობისა, მათ შორის ე.წ. სამთავრობო კომისიისა, რომელსაც მამუკა კაციტაძე ხელმძღვანელობს," - აღნიშნა ავთანდილ ბერიძემ.

მისივე თქმით, კოალიციის აქტივისტებმა საარჩევნო სიების გადამოწმება აჭარის მაღალმთიან რეგიონებში უკვე დაასრულეს.

საქმიო საზოგადოების საყურადღებოდ!
ლიცენზირებული რეგისტრატორი
სს „კავკასრეესტრი"
გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.
მომსახურების საფასური 17 ლარიდან.
თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ: 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი მარინე იაშვილი.**

**მარინე იაშვილმა პირველი დიდი გამარჯვება 1949 წელს, პრაღაში, კუბელიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მოიპოვა. ამ კონკურსმა გაუთქვა სახელი მაშინ სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის მევიოლინეს, რომელიც საერთაშორისო კონკურსის პირველი ლაურეატი გახდა როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიის მასშტაბით. მომდევნო წლებში იგი კიდევ ორი, მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა პოლონეთსა და ბელგიაში.**

**დიდია მარინე იაშვილის დამსახურება ქართული მუსიკალური კულტურის წინაშეც. მის საკონცერტო პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას და ხშირად მათი ნაწარმოებების პირველ შემსრულებლადაც გვევლინება.**

## ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ "მაგნიტსკის სია" მიიღო

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საპარლამენტო ასამბლეამ ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუციის პროექტი, რომელიც იმ რუსი ჩინოვნიკების მიმართ, რომლებიც იურისტ სერგეი მაგნიტსკის სიკვდილთან არიან დაკავშირებულნი, სანქციების შემოღებას ითვალისწინებს. რეზოლუციის - "კანონიერება რუსეთში: სერგეი მაგნიტსკის საქმე" - მიღების ინიციატივით გამოვიდა მისი უშუალო ავტორი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი ხელმძღვანელი ჟოაო სუარეში, აგრეთვე, საქართველოს, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, ლატვიისა და კანადის წარმომადგენლები. რეზოლუციას მხარი ამერიკის წარმომადგენელმა ჯონ მაკკეინმაც დაუჭირა. რუსმა პარლამენტარებმა, ცხადია, რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. რუსეთის წარმომადგენელმა დოკუმენტს "ნაჩქარევი და არაობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებული" უწოდა.

რეზოლუციას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და ეუთო მის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, სანქციების შემოიღონ იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ადამიანის უფლებების დარღვევაში არიან დამნაშავე. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ საინვესტიციო ფონდ "Hermitage Capital"-ის იურისტი სერგეი მაგნიტსკი 2009 წლის ნოემბერში მოსკოვის საგამოძიებო იზოლატორში გარდაიცვალა. უფლებადამცველები და მაგნიტსკის კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ მისი სიკვდილი დაკავების პირობებმა და სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმამ გამოიწვია.

## საბერძნეთის მთავრობა ქვეყნის პარლამენტმა მოიწონა

ანტონის სამარისის კოალიციურმა მთავრობამ ბერძენი დეპუტატების მხარდაჭერა მიიღო. დეპუტატების ნახევარზე მეტმა დაუჭირა მხარი ახალშექმნილ კაბინეტს, რომელიც პირობას დებს, რომ ერთდროულად ქვეყანას ბიუჯეტის მკაცრი ეკონომიის ზომებისგანაც დაიხსნის და კრედიტორებსაც მოელაპარაკება. 300 დეპუტატიდან ახალ მთავრობას ნდობა 179-მა გამოუცხადა. ეს დეპუტატები მმართველი კოალიციის წევრები არიან. წინააღმდეგ კი 121-მა დეპუტატმა მისცა ხმა.

მმართველ კოალიციაში შედიან: მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია "ახალი დემოკრატია", სოციალისტები "პასოკიდან" და მემარცხენე "დემოკრატიული" პარტია. მთავრობამ, კრედიტორების ნდობის მოსაპოვებლად, პირობა დადო, რომ პირველ რიგში პრივატიზაციას ჩაატარებდა და სტრუქტურულ რეფორმებს განახორციელებდა.

## პაკისტანში შეიარაღებული მებრძოლების თავდასხმას შვიდი სამხედრო ემსხვერპლა

პაკისტანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სამხედრო ბანაკზე შეიარაღებული მებრძოლების თავდასხმა მოხდა, რასაც შვიდი პაკისტანელი სამხედრო ემსხვერპლა. დაშავდა ხუთი ჯარისკაცი. არმიის წარმომადგენლის თქმით, თავდასხმა ქალაქ ვაზირაბადთან ახლოს მოხდა. როგორც აღნიშნავენ, ამ რაიონში მებრძოლები თავდასხმებს იშვიათად ახორციელებენ, იქიდან გამომდინარე, რომ შეიარაღებული მებრძოლები ძირითადად ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით არიან თავმოყრილნი.

## აბესაძემ ეუთოს საპარტნიორო პროგრამაში პალესტინის გაწევრიანება დაბლოკა

პალესტინის ავტონომიამ ეუთოს საპარტნიორო პროგრამის წევრის სტატუსის მოპოვება ვერ შეძლო. ისრაელმა 28 ქვეყნის წარმომადგენელი დაარწმუნა, რომ ისლანდიის ინიციატივისთვის მხარი არ დაეჭირათ. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე ისრაელის პოზიციას დეპუტატი ნინო აბესაძე წარმოადგენდა. 7 მარტს მალტაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე ქნესეთის დეპუტატმა შეძლო, პალესტინა საერთაშორისო სტრუქტურის პროგრამის მიღმა დაეტოვებინა. ისრაელი ახლო აღმოსავლეთის პარტნიორობის ჯგუფის წევრია ეგვიპტესთან, ტუნისთან, მაროკოსთან, ალჟირთან და იორდანიასთან ერთად. პალესტინის ადმინისტრაცია, თავის მხრივ, მეორე წელია ცდილობს მსგავსი სტატუსის მიღებას. ამ წელს ისლანდიამ წამოაყენა პალესტინის ამ ჯგუფში გაწევრიანების ინიციატივა, თუმცა ქნესეთის დეპუტატებმა ნინო აბესაძემ და შაიუ ჰერმეშმა ისლანდიის წინადადების დაბლოკვა მოახერხეს. ასამბლეის 56 წევრიდან ისლანდიის წინადადების წინააღმდეგ 28 ქვეყანა გამოვიდა, მხარი დაუჭირა 21-მა ქვეყანამ, დანარჩენმა შვიდმა ქვეყანამ კი თავი შეიკავა.

## აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნდა

8 ივლისს, 20-წლიანი დევნილობის შემდეგ, აზერბაიჯანის პირველი პრეზიდეტი აიაზ მუტალიბოვი ბაქოში დაბრუნდა. მისი დაბრუნება "ექს-პრეზიდენტის სტატუსის" შესახებ კანონის მიღების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტს იმუნიტეტი მიენიჭა. მუტალიბოვი ადრე მოსკოვში ცხოვრობდა. სამკაციანი დაცვის გარდა, მუტალიბოვს კარგი პენსიაც დაენიშნა: ყოველთვიურად ის მოქმედი პრეზიდენტის ხელფასის 50 პროცენტს მიიღებს. ადრე მუტალიბოვის წინააღმდეგ 1990 წლის იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. ერთი წლის წინ მას შვილის დასაფლავებაზე დასასწრებად ბაქოში ჩასვლის ნება დართეს.

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# ყუბანის წყალდიდობის ექო

**პირველი გვერდიდან**




დაზარალებულთა და დაღუპულთა უმრავლესობა ქალაქ კრიმსკის მკვიდრია. ისინი წესიერად ვერ იღებენ შეპირებულ ჰუმანიტარულ დახმარებას და კომპენსაციას. არიგებენ მხოლოდ პურს, წყალს და ლეიბებს. ისიც, ყველგან არა. მოსახლეობის ნაწილი დროებით თავშესაფრებში ცხოვრობს, რადგან სახლების ნაწილი დანგრეულია, ზოგი სახლი კი ჯერ დგას, მაგრამ რეალურად დანგრევის პირასაა.

გუშინ ძირითადი დავა, ერთის მხრივ, ხელისუფლებასა და, მეორეს მხრივ, ხალხსა და დამოუკიდებელ მედიას შორის მიმდინარეობდა წყალდიდობის გამომწვევი მიზეზებისა და სტიქიის შემოტევის წინ მოსახლეობის არასათანადო გაფრთხილების გამო. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ წყალდიდობა გამოიწვია კოკისპირულმა წვიმებმა, გაფრთხილების სისტემა ამოქმედდა, მაგრამ ნორმალურად ვერ იმუშავა. პრინციპში, ხელისუფლებამ ჩავარდნა მხოლოდ ამ სფეროში აღიარა. მეტეოროლოგები წვიმების შესახებ იტყობინებოდნენ, წვიმა ხუთშაბათს დაიწყო, მაგრამ გაძლიერდა პარასკევს, საღამოს. როგორც ირკვევა, მოსახლეობა მოკლე ტექსტური შეტყობინებებით გააფრთხილეს, მაგრამ ამ ტექსტში მთავარი წინადადება იმდენად დამახინჯებული იყო, რომ ხალხს აზრის გამოტანა არ შეეძლო. იყო მორბენალი სტრიქონი ტელევიზიითაც, მაგრამ მისი ნახვა მოსახლეობის დიდ ნაწილს არ შეეძლო, რადგან პარასკევს, საღამოს ქალაქში დენი, აგრეთვე, გაზი გაითიშა. ამას მიმომხილველები იმ ფაქტის არაპირდაპირ დადასტურებად მიიჩნევენ, რომ პარასკევს საღამოს ხელისუფლებამ დაახლოებით უკვე იცოდა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ხალხს გამოეღვიძა მაშინ, როცა წყალი უკვე სახლებში შეუვარდათ. ზოგმა გაღვიძებაც ვერ მოახერხა. მედია, მით უმეტეს, სოციალური ქსელები სავსეა კონკრეტული ადამიანების ნაამბობით, თუ როგორ ძლივს მოახერხეს მათ ბოლო წუთებში მეორე სართულებზე თუ სახურავებზე აძრომა, ხშირად გამომტვრეული ფანჯრების გავლით. ყვებიან, რომ დაახლოებით 12 წუთში წყლის დონემ მეტრნახევრითორი მეტრით მოიმატა.

მთავარი ის არის, რომ მოსახლეობას ხელისუფლების ვერსიის არ სჯერა. მათ მიაჩნიათ, რომ წყალსაცავებიდან წყლის გამოშვებით წყალდიდობა ხელოვნურად "გააძლიერეს". დატბორილი ზონის ზევით არის ნაბერჯაის და ატუკაევის წყალსაცავები. კრასნოდარის გუბერნატორმა ალექსანდრ ტკაჩოვმა მოსახლეობასთან შეხვედრისას მათი დარწმუნება ვერ შეძლო. შემდეგ მისმა მოადგილემ ხალხისგან არჩეულ საინიციატივო ჯგუფს, ტელევიზიის გადამღებ ჯგუფთან ერთად, ნაბერჯაის წყალსაცავის ვერტმფრენით მონახულება შესთავაზა. დაბრუნების შემდეგ ამ ადამიანებმა დაადასტურეს, რომ წყალსაცავიდან წყალი ნამდვილად არ არის გამოშვებული. თუმცა ამ ინსპექციით საინიციატივო ჯგუფის 5 წევრიდან სამი მაინც არ არის კმაყოფილი. მათ განაცხადეს, რომ ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, ვერტმფრენმა მაინც არ იფრინა იმ მარშრუტით, როგორც წყალი მოძრაობდა. შესაბამისად, მათ სრული ინფორმაცია ვერ მიიღეს. ტელევიზიის ოპერატორებს და საინიციატივო ჯგუფს მხოლოდ ნაბერჯაის წყალსაცავი აჩვენეს, ხოლო ატუკაევის წყალსაცავისკენ საწვავის სიმცირის მიზეზით არ წაიყვანეს. მათ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ აჩვენა ის, რისი ჩვენებაც უნდოდა.

გუშინ დარგის სპეციალისტები, მათ შორის, დამოუკიდებელი ექსპერტებიც, აცხადებდნენ, რომ წყალდიდობის ხელოვნურად გამოწვევა შეუძლებელია მომხდარიყო; მაშინ წყალსაცავის დამბა მთლიანად გარღვეული უნდა იყოს, მაგალითად, აფეთქების შედეგად. გავრცელებული ეჭვი, რომ ეს ხელისუფლებამ უფრო დიდი ქალაქის, საკურორტო ნოვოროსიისკის გადასარჩენად გააკეთა, აბსურდია, რადგან მთების სიმაღლის გამო ეს წყალი იქით მაინც ვერ მოხვდებოდა. როგორც ირკვევა, ყუბანში ორ დღეში წლიური ნორმის მესამედის ოდენობით ნალექი მოვიდა. ამას გარდა, კრიმსკი აშენებულია ისეთ ქვაბულში, სადაც წყალი თავისთავად იყრის თავს.

მოსახლეობა არც ოფიციალურად გამოცხადებულ ციფრებს იჯერებს. ხალხი ამტკიცებს, რომ მსხვერპლი გაცილებით მეტია. ვინც ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებულ მონაცემებს აქვეყნებს ინტერნეტში, მათ ტელეფონით ვიღაც უცნობი პირები ანგარიშსწორებით ემუქრებიან. ხელისუფლება ცრუ ინფორმაციის გავრცელებას ოპოზიციასა და დამოუკიდებელ მედიას აბრალებს. ქალაქ კრიმსკში ძალიან დაძაბულია სოციალური მდგომარეობა, მოსახლეობიდან ყოველი შემთხვევისთვის იარაღის ამოღებაც დაიწყეს.

ხალხი ამ სტიქიურ უბედურებას 10 წლის წინ, 2002 წელს მომხდარ წყალდიდობას ადარებს, რომლის შემდეგაც მოსახლეობა ძლივს დადგა ფეხზე, ახლა კი უბედურების მასშტაბი გაცილებით დიდია.

ხელისუფლება დაზარალებულებს ჰპირდება, რომ საწყისი ეტაპისთვის გამოუყოფს დახმარებას 10 ათასი რუბლის ოდენობით. შემდეგ დაკარგული ქონებისთვის კომპენსაციის სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან თითოეული ოჯახი მიიღებს 50 ათას რუბლს, ფედერალურ ბიუჯეტიდან კი 100 ათას რუბლს. დაღუპულთა ოჯახები ორ მილიონ რუბლს მიიღებენ, ერთს ადგილობრივი, ხოლო ერთსაც ფედერალური ბიუჯეტიდან. პრეზიდენტ პუტინის განკარგულებით, სახლები უნდა აუშენონ ყველას, ვისაც ის დაენგრა. თუმცა მოსახლეობა იხსენებს, რომ 2002 წელს დაპირებები მთლიანად არ შეუსრულებიათ.

# სირია: შეხვედრები დამასკოსა და მოსკოვში

**ხათუნა გაბიევი**



სირიის ოპოზიციის წარმატებული მოლაპარაკებები მოსკოვში და პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხრიდან შეერთებული შტატების მისამართით გაკეთებული მორიგი ბრალდება. ჟენევისა და პარიზის შემდგომ, სირიის საკითხზე უკვე რუსეთში იმსჯელეს, თუმცა არც ისეთი ფართო ფორმატით, როგორც ეს წინა შემთხვევებში იყო. მოსკოვს უბრალოდ სირიის ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლები ეწვივნენ და საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვს შეხვდნენ. "ჩვენი შეხვედრები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში პირველ პირთან სერგეი ლარვოვთან და მის მოადგილე მიხაილ ბოგდანოვთან ძალიან წარმატებული იყო. აღვნიშნეთ, რომ ძალიან რთულია შეთანხმების უმოკლეს ვადებში მიღწევა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ის ფრაზა, რომელიც სერგეი ლავროვმა რამდენჯერმე გაიმეორა. მან აღნიშნა, რომ რუსეთი არ უჭერს მხარს სირიის მმართველ რეჟიმს", - განაცხადა რუსულ მედიასთან საუბარში სირიის ოპოზიციური დელეგაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სამინისტროში შეხვედრის დასრულების შემდეგ. დელეგაციის ხელმძღვანელმა მიშელ კილომ კი მოლაპარაკებათა შედეგების უმოკლეს ვადებში განხორციელების იმედიც გამოთქვა.

სირიაში მმართველ რეჟიმსა და ამბოხებულებს შორის შეტაკებები უკვე 16 თვეზე მეტია გრძელდება, ევროკავშირის, შეერთებული შტატებისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ზეწოლის მიუხედავად, სისხლისღვრის შეჩერება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

სირიის პრეზიდენტმა ახლახანს კიდევ ერთხელ იმართლა თავი. მან ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის ღია მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ბაშარ ალ-ასადს გადადგომისკენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ერთად რიგი ევროპული სახელმწიფოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ბოლოს პარიზის შეხვედრაზე მოუწოდეს. სირიის პრეზიდენტმა პასუხად კი განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს. ამის შესახებ მან გერმანული ტელეარხის "ARD"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა. "პრეზიდენტმა გამოწვევას თავი არ უნდა აარიდოს, დღეს კი სწორედ ამგვარადაა საქმე. სერიოზული გამოწვევის წინაშეა მთელი ხალხი, მთელი სირია და მე როგორც პრეზიდენტს, არ შემიძლია ამ პრობლემებს გავექცე და თავი ავარიდო", - აღნიშნა ბაშარ ალ-ასადმა. ჟურნალისტის კითხვაზე კი, თუ როგორია ამ კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატების როლი სირიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი ჩართულია ამ კონფლიქტში. "ისინი მფარველობენ ამ ბანდიტებს, უწევენ მათ პოლიტიკურ მხარდაჭერას, რათა ამბოხებულებმა სირიის არასტაბილურობა კიდევ უფრო გააღრმავონ", - თქვა სირიის მმართველი რეჟიმის ხელმძღვანელმა. გარდა ამისა, ბაშარ ალ-ასადმა ამბოხებულების იარაღით მომარაგებაში პირდაპირ დაადანაშაულა საუდის არაბეთი და ყატარიც.

უქმეებზე გავრცელდა ინფორმაციაც და შესაბამისი კადრებიც სირიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო წვრთნების შესახებ. სირიის თავდაცვის მინისტრის თქმით, მანევრების მიზანი ნებისმიერი შესაძლო აგრესიის სირიის მიერ მოგერიების შესაძლებლობის დემონსტრირება იყო. ფლოტის გარდა, სამხედრო წვრთნებში მონაწილეობა სახმელეთო არმიის ქვედანაყოფებმა და ავიაციამაც მიიღეს.

იმ დროს, როდესაც ბაშარ ალ-ასადი ხელისუფლებიდან წაუსვლელობის არგუმენტებს ეძებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგანგებო წარმომადგენელი სირიაში კოფი ანანი თავისი სამშვიდობო გეგმის გადარჩენას ცდილობს. ამ მიზნით იგი დამასკოს ეწვია. როგორც ცნობილია, მისი პირველი გეგმა ჩავარდა, რის შემდეგაც განმეორებით კონსულტაციები გაიმართა. კოფი ანანის თქმით, ბაშარ ალ-ასადთან კონსტრუქციული და ობიექტური მოლაპარაკებები ჰქონდა. საგანგებო მედიატორის შეფასებებს ოფიციალური დამასკოც გამოეხმაურა. "დამასკოში გამართული მოლაპარაკებები კონსტრუქციული ხასიათით გამოირჩეოდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილი გენერალური მდივნის ექვსპუნქტიან გეგმას", - დაწერა "ტვიტერის" ბლოგზე სირიის საგარეო უწყების პრესპიკერმა ჯიჰად ალ-მაყდისიმ. მისი თქმით, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ჟენევაში სირიის სამოქმედო ჯგუფის შეხვედრა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ნაციონალური დიალოგის დასაწყებად და კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტისთვის. თუმცა, თუ სირიაში მიმდინარე მოვლენებს გადავხედავთ, ფაქტია, რომ სამოქმედო ჯგუფის მიერ შეთანხმებული წინადადებები ჯერ არ ამუშავებულა.

# ჯაზი ბასის აკორდებით

## ლარი გრეჰემისა და მისი ბენდის კონცერტი 19 ივლისს გაიმართება

პირველი გვერდიდან

მისი ერთ-ერთი საპატიო სტუმარი კი მსოფლიო ჯაზის ბასის ჯადოქრად აღიარებული ლარი გრეჰემი და ბენდი Graham Central Station იქნება.

ლარი გრეჰემისა და მისი ბენდის კონცერტი 19 ივლისსაა დაგეგმილი. ის სცენაზე მას შემდეგ გამოვა, რაც ბიტბოქსერი Butterscotch-ი თავის ჯადოსნურ პერფორმანსს დაასრულებს (ამ ქალბატონის კონცერტი კი ნამდვილად ჯადოსნური იქნება - მოუსმინეთ ინტერნეტში განთავსებულ მის ჩანაწერებს და წამსვე შეიქმნით შესაბამის განწყობას). ლარი გრეჰემი ბათუმში გიტარისტ უილტონ რაბთან, პიანისტებთან - ჯიმი მაკინი უმცროსთან და დევიდ ქანსილთან, ვოკალისტ ეშლინგ კოლთან და დრამერ ბრაიან ბრაზიელთან ერთად ჩამოდის და საკუთარ ხელოვნებას სწორედ მათთან შეწყვილებული შემოგვთავაზებს.

ივლისი ლარი გრეჰემს საკმაოდ დატვირთული აქვს: ის ბათუმისკენ გეზს ბელგიის Gent Jazz Festival-ის დასრულებისთანავე აიღებს, აქედან კი საფრანგეთში გაეშურება და Pleins Feux Festival-ის მსმენელისთვის დაუკრავს. მოგვიანებით შეხვედრა ელის კანადელ, ბრიტანელ და ამერიკელ მსმენელთან, 2012 წლის ტურნეს კი ნიუ ჯერსიში - Scottish Rite Auditorium-ზე მონაწილეობით დაასრულებს. მთელი სეზონის განმავლობაში გრეჰემს 20-მდე კონცერტი აქვს ჩატარებული, ამრიგად, ჩვენთან იმდენად "გახურებული" ჩამოვა, ვინ იცის, იქნებ Butterscotch-ის სიგიჟეც კი დაგვავიწყოს.

ბათუმის 2008 წლის ჯაზფესტივალის ვარსკვლავი დიდებული ბასისტი მარკუს მილერი იყო, ლარი გრეჰემი კი სწორედ ის მუსიკოსია, ვისი დაკვრის ტექნიკაც ახალგაზრდა მილერისთვის შთაგონების წყაროდ იქცა და თავის ხელოვნებაშიც გამოიყენა. ასევე გრეჰემის "მოსწავლეებად" მიიჩნევიან ჯგუფ Primus-ის გენიოსი ბასისტი ლეს კლეიპული, "პეპერსების" ფლი, Rage Against The Machine-ის ბასისტი ტიმ კომერფორდი, ბუტსი კოლინზი, სტენლი კლარკი, პინო პალადინო, ლუის ჯონსონი, მარკ კინგი და უამრავი სხვა. ამრიგად, ორმაგად საინტერესო იქნება იმ ადამიანის მოსმენა, ვინც ოდესღაც ამ მუსიკოსების ერთგვარ დამრიგებლად იქცა.

1946 წელს დაბადებულ ლარი გრეჰემს, რომელმაც რამდენიმე ინსტრუმენტზე დაკვრა ბავშვობიდან შეისწავლა, 15 წლის ასაკიდან საკუთარი ბენდი Dell Graham Trio ჰქონდა, სრულიად ახალგაზრდა კი ჯონ ლი ჰუკერისა და ჯეკი უილსონის გვერდით მუშაობდა. 1968 წელს იმ დროს ძალიან პოპულარული Sly and the Family Stone-ის წევრი გახდა, სადაც ბასზე დაკვრის ტექნიკა ხელოვნების დონეზე აიყვანა და პირველი წარმატების გემოც გაიგო. წარმატებას კი ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, გამუდმებული უსიამოვნება, აყალმაყალი, რეპეტიციებისა და კონცერტების ჩაგდება მოჰყვა. ლარი გრეჰემმა ასეთ ურთიერთობებს ვერ გაუძლო და 1972 წელს ჯგუფი დატოვა. სწორედ ამ დროს დაიწყო სოლო კარიერაზე ფიქრი და Larry Graham Central Station-იც შეიქმნა.

მომდევნო წლების განმავლობაში გრეჰემის ბენდი წარმატების მწვერვალზე იმყოფებოდა, ერთმანეთის მიყოლებით უშვებდა ჰიტებს, მარტო 70-იან წლებში ათამდე ალბომი ჩაწერა, რომლებში შესული კომპოზიციებიც გამუდმებით ლიდერობდა ჰიტ აღლუმებში. ლარი გრეჰემის შემოქმედებითი ბიოგრაფია სწორედ ამგვარი წარმატებების შემცველი ინფორმაციით გრძელდება, ასე რომ, მისი კონცერტის გამოტოვება ნამდვილად არ შეიძლება.

შავი ზღვის ჯაზფესტივალის ჰედლაინერთა შორის ასევე არიან: ბაჩა მძინარიშვილის კვინტეტი და მისი სპეციალური სტუმარი, მესაყვირე დარენ ბარეტი, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ბიტბოქსში, უკვე ნახსენები Butterscotch, ჯონ სკოფილდი და მისი Hollowbody Band, The Black Eyed Peas-ის წევრი Taboo, ჯო კალდერაცოს ტრიო, ბექა გოჩიაშვილის ახალი სექსტეტი და ბრაზილიური მუსიკის ლეგენდა სერჟიო მენდესი.

"ისტერნ პრომოუშენის" მიერ ორგანიზებულ ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თიბისი სტატუსი, მხარდამჭერია ბათუმის მერია და აჭარის კულტურის სამინისტრო; დამატებითი ინფორმაცია კონცერტების, ბილეთებზე ფასდაკლებებისა და სხვა საკითხების შესახებ კი იხილეთ ვებგვერდზე batumijazz.ge.




# იკვის ეკლესია საერთაშორისო ფონდის ყურადღების ცენტრში მოექცა

პრინც კლაუსის ფონდისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი "ისტორიალი" იკვის XII საუკუნის ფრესკების კონსერვაციას განახორციელებს პრინც კლაუსის ფონდის "სასწრაფო რეაგირების პროგრამის" ფარგლებში საქართველოში უკვე მესამე პროექტი ხორციელდება. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრ "ისტორიალთან" პარტნიორობით, ფონდმა 2008 წლის ომის შედეგად დაზიანებული და გადამწვარი ნიქოზის სასახლე აღადგინა. 2012 წელს ალავერდში მდინარე შავკაბას ხევის გაწმენდითი სამუშაოები დააფინანსა.

საერთაშორისო ფონდის ყურადღების ცენტრში აღმოჩენილი იკვის წმ. გიორგის XI საუკუნის ტაძარი მდინარე შაბწყალას მარჯვენა ნაპირას მდებარეობს. ტაძარი "ნახევრადთავისუფალი ჯვრის" ტიპს განეკუთვნება.

ტაძრის რელიეფი, გუმბათის გამორჩეულად მაღალი ყელი, ტაძრის თლილი ქვით შემოსილი ფასადები - გაფორმებული მდიდარი ორნამენტული მოტივებითა და თვალსაჩინო თაღედებით მნახველზე განსკათურებულ შთაბეჭდილებას ახდენს.



ტაძრის არქიტექტურულ ნაწილში გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაობი გასულ წელს განხორციელდა. გამაგრდა აღმოსავლეთ, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები, შეიცვალა გადახრვა. ახლად გადახურულ ტაძარში და გამომშრალ ინტერიერში უძველესი მხატვრობის გადარჩენის ეტაპი დადგა. XII-XIII საუკუნის მხატვრობა, სადაც საუფლო, ათორმეტ დღესასწაულთან ერთად ყურადღებას წმინდა გიორგის ცხოვრების ამსახველი სცენები იპყრობს, შესრულების მაღალი დონითა და არაჩვეულებრივი ოსტატობით გამოირჩევა.

ფრესკების გადაუდებელი კონსერვაციის ფარგლებში მოხდება, კედლის მხატვრობის გაწმენდა მარილებისგან და მტვრისგან, თაბაშირის ქიმების შეცვლა, ბათქაშის ნაკლული ადგილების შევსება, ფერწერული ფენის გამაგრება,; ამჟამად მიმდინარეობს სარკმელების განახლება, ღიობების შემინვა, და მორყეული ქვების გამაგრება.

საგულისხმოა, რომ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ისტორიალის პროექტები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სფეროს ექსპერტთა ჯგუფის მოწონებას იმსახურებს. ტიმოთესუბნის ტაძრის ინტერიერში განხორციელებული ფრესკების საუკეთესო კონსერვაციისთვის, "ისტორიალი" სფეროს უმაღლესი ჯილდოს პრემია "ევროპა ნოსტრას" მფლობელია.

*24 საათი*

# პრემია "საბას" ფინალისტები

ლიტერატურული კონკურს "საბას" ჟიურიმ წლევანდელი ფინალისტები გამოავლინა. **კონკურსზე წარდგენილი 188 წიგნიდან, ფინალურ ეტაპზე, 42 საუკეთესო მოხვდა.**

ივნისის მიწურულს თიბისი ბანკში "საბას" **რიგით მეათე საზეიმო დაჯილდოება** გაიმართება. "საბას" პრიზებსა და ფულად პრემიებს 2011 წლის საუკეთესო წიგნების ავტორები მიიღებენ.

საპრემიო ფონდი **40 ათას ლარს** შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

"საბა" წელსაც, ტრადიციულად, 9 ნომინაციაში გაიცემა. წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:

**წლის საუკეთესო პროზაული კრებული**
1. ზვიად კვარაცხელია, **ყიფლიბანდი** (ინტელექტი)
2. ზურაბ ლეჟავა, **სინაღდე სიყალბისა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. მიხო მოსულიშვილი, **მადლის ქვა** (სიესტა)
4. დავით ქართველიშვილი, **6 სიზმარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. ცირა ყურაშვილი, **ხიზნები კომანის მონასტერთან** (ინტელექტი)
6. ბესო ხვედელიძე, **წითელი** (საუნჯე)

**წლის საუკეთესო პოეტური კრებული**
1. ცირა ბარბაქაძე, **უცხოქალაქი** (უნივერსალი)
2. ელგუჯა მარღია, **ნაბადი** (სვეტი)
3. პაატა შამუგია, **დაუჯდომელი** (სიესტა)
4. ვაჟა ხორნაული, **სიტყვები - სიყვარულის თვალები** (თობალისი)
5. კატო ჯავახიშვილი, **ჭუპრი** (საუნჯე)

**წლის საუკეთესო რომანი**
1. ზაზა ბურჭულაძე, **გასაბერი ანგელოზი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. აკა მორჩილაძე, **Obole** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ირაკლი სამსონაძე, **ლეას-საათი** (ინტელექტი )
4. ზურაბ ქარუმიძე, **მელია ტულეფია: Foxtrot** (სიესტა)

**წლის საუკეთესო დებიუტი**
1. ეკატერინე ახვლედიანი, **ორჰან ფამუქის "უმანკოების მუზეუმი"** (დიოგენე)
2. სალომე ბენიძე, **მოხსენებითი ბარათი** (ინტელექტი)
3. ნინო გუგეშაშვილი, **ფეისკონტროლი** (დიოგენე)
4. ჯაბა ზარქუა, **ვარმშტადური პარადოქსი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. უჩა ზაქაშვილი, **ხელით ნაქსოვი თოჯინები** (საუნჯე)
6. სანდრო ნავერიანი, **არგენტინული პიტბული** (სიესტა)
7. გიორგი ოქროპირიძე, **ლექსები** (გამოიცა ავტორის ხარჯით)
8. სალომე სულაბერიძე, **ჰამალ** (არეტე)
9. ეკატერინე ტოგონიძე, **ანესთეზია** (საუნჯე)

**წლის საუკეთესო თარგმანი**
1. მაია ბადრიძე, **რობერტ მუზილის "უთვისებო კაცი", წიგნი II** (დიოგენე)
2. ლევან ბერძენიშვილი, **არისტოფანეს "კომედიები", ტომი IV** (ლოგოს პრესი)
3. ნათელა გავაშელი, **ჩესლავ მილოშის "ისას დაბლობი"** (ინტელექტი)
4. ქეთი ქანთარია, **ჰენრი დევიდ თოროს "უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება"** (სიესტა)
5. ბელა შალვაშვილი, **ფირდოუსის "შაჰნამე"** (ნეკერი)
6. გივი შახნაზარი, **ნაჰაპეტ ქუჩაკის "ას ერთი ჰაირენი"** (ექსკლუზივ პრინტი)
7. ხათუნა ცხადაძე, **უმბერტო ეკოს "ვარდის სახელი"** (დიოგენე)
8. დავით წერედიანი, **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს "ფაუსტი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

**წლის საუკეთესო პიესა**
1. გურამ ბათიაშვილი, **მოქმედი პირნი და შემსრულებელნი** (ლიტ. პალიტრა)
2. ლაშა ბუღაძე, **ნავიგატორი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. გურამ მეგრელიშვილი, **ნაღალატევ ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი** (დიოგენე)

**წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა**
1. რევაზ გაჩეჩილაძე, **ჩემი მეოცე საუკუნე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. ნოდარ გრიგალაშვილი, **თანმდევი სული** (ახალი საქართველო)
4. გიორგი მაისურაძე, **ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. დათო ქარდავა, **ტუალეტში საკითხავი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

**წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა**
1. ივანე ამირხანაშვილი, **თავისუფლების პარადოქსები** (ინტელექტი)
2. ლევან ბრეგაძე, **ლიტერატურული (გამო)ძიებანი** (არტანუჯი)
3. მაკო ჯანჯიბუხაშვილი, **მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში** (წყაროსთვალი)

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მუსიკოსი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეათი, ღირსების ორდენის კავალერი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ერთგული მეგობარი

**მარინე იაშვილი**

და გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# აღმოსავლეთის პარტნიორობა, საქართველო და ევროკავშირი

პირველი გვერდიდან

როგორ ხდება ჩვენ მიერ ამ რეფორმების წახალისება?

ჩვენ პარტნიორებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ასოციაცირების შესახებ შეთანხმებების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTAs) შესახებ შეთანხმებების თაობაზე, რომელსაც შეუძლია გახსნას კარი ევროკავშირის შიდა ბაზარზე, 500 მილიონი მომხმარებლით. ბაზრის გარდა, ყურადღება მობილურობის ხელშეწყობასაც ექცევა. ევროკავშირი პარტნიორებს მოქალაქეთა მიმოსვლის გაუმჯობესების პერსპექტივას სთავაზობს პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის მიმოსვლის უვიზო რეჟიმის ეტაპობრივად ჩამოყალიბების მიმართულებით. ეს მნიშვნელოვანია,ვინაიდან მეტი პირდაპირი კონტაქტი და აზრთა გაზიარება მოქალაქეებს შორის შეიძლება უმნიშვნელოვანესი შენაძენი გახდეს. მთლიანობაში ჩვენი ხედვა გულისხმობს ერთიან სივრცეს, სადაც მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და ღრმა ეკონომიკურ ინტეგრაციას. ეს არის ამბიციური ხედვა, რომელიც საჭიროებს მდგრად რეფორმებს პარტნიორების მხრიდან და, ასევე, მტკიცე ვალდებულებას ევროკავშირის მხრიდან. ამავე დროს, ეს არის მოქნილი ხედვა, რომელიც ყველა კარს ღიას ტოვებს მომავალი ურთიერთობებისათვის.

დღეისათვის რა არის მიღწეული?

ჩვენ მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ ექვსი პარტნიორიდან ხუთთან ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებებში. ამ წლის დასაწყისში მოხდა ევროკავშირის და უკრაინის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ჩათვლით, და დაიწყო მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლდოვის რესპუბლიკასთან, საქართველოსა და სომხეთთან. რაც შეეხება მობილურობას, ჩვენ წინსვლა გვაქვს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით. ივნისში ჩვენ დავიწყეთ სავიზო დიალოგი საქართველოსთან და ვმოძრაობთ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების მიმართულებით. ასევე მოქმედებს აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატი, რომელიც უზრუნველყოფს ფორუმს ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან დაახლოების საუკეთესო გამოცდილების გაცვლისათვის.

ამასთან, ჩვენ ისე ჩამოვაყალიბეთ პარტნიორობა, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ მთავრობასთან ურთიერთობებით და, ასევე, მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებას, სხვა მნიშვნელოვან მხარეებს, მათ შორის - ეროვნულ პარლამენტებს, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას და საქმიან წრეებს.

პარტნიორი ქვეყნების მიერ განხორციელებული რეფორმების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირი მნიშვნელოვან დაფინანსებას უზრუნველყოფს. 2010-13 წწ. გამოიყო დაახლოებით 1.9 მილიარდი ევრო ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობისათვის - მათ შორის 350 მილიონის ოდენობის ახალი დაფინანსება.

ჩვენი გაღრმავებული თანამშრომლობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ეფუძნება პრინციპს - "მეტი მეტის სანაცვლოდ": მეტი მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან პარტნიორი ქვეყნის მიერ დემოკრატიული რეფორმების გზაზე, მეტი წინსვლის სანაცვლოდ. ევროკომისიის მიერ ცოტა ხნის წინ დაწყებული ახალი პროგრამა EaPIC (აღმოსავლეთის პარტნიორობის ინტეგრაცია და თანამშრომლობა) აღმოსავლეთის პარტნიორებისათვის "მეტი მეტის სანაცვლოდ" პრინციპს კონკრეტული დაფინანსების შესაძლებლობებში ასახავს. EaPIC ღიაა აღმოსავლეთის პარტნიორობის ყველა ქვეყნისათვის, მაგრამ ის შერჩევით იქნება გამოყენებული. პროგრამა EaPIC-ის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 130 მილიონ ევროს 2012-2013 წლების განმავლობაში.

რაც შეეხება საქართველოს, "მეტი მეტის სანაცვლოდ" პრინციპი აღიარებს მთავრობის მიერ მიღწეულ წინსვლას რეფორმების და კარგი მმართველობის მიმართულებით. კონკრეტულად, ეს აისახება 2012 წელს 22 მილიონი ევროს ოდენობის დამატებითი დაფინანსების გამოყოფაში. შემდგომი წინსვლის მიღწევის შემთხვევაში, განსაკუთრებით შემოდგომაზე გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, 2013 წელს კვლავ იქნება განხილული საქართველოსათვის "მეტი მეტის სანაცვლოდ" მხარდაჭერა.

რა ერთობლივი გეგმები გვაქვს წინ?

15 მაისს ევროკომისიის და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი კომმიუნიკე, რომელშიც წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთის პარტნიორობის საგზაო რუკა. მისი მიზანია აღმოსავლეთის პარტნიორობის საქმიანობის გაძლოლა და მონიტორინგი 2013 წლის ნოემბერში ვილნიუსის მომდევნო სამიტამდე. ამჟამად ჩვენ ველოდებით აღმოსავლეთის პარტნიორობის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, რომელიც მოგვიანებით, ამ თვეში უნდა გაიმართოს და სადაც ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდებიან იმაზე, რომ საგზაო რუკა წარმოადგენს ჩვენ საერთო ინსტრუმენტს ჩვენი პარტნიორობის განვითარების დღის წესრიგში.

აღმოსავლეთის პარტნიორობის საგზაო რუკა არის საჯარო დოკუმენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია იმის მონიტორინგი, თუ როგორ ვახორციელებთ ჩვენ - ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები - ჩვენი ვალდებულებების შესაბამის ნაწილს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საქართველოში, ძალიან აქტიურია სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი და მისი ეროვნული პლატფორმები.

და ბოლოს, ნება მომეცით დავუბრუნდე ვითარებას კონკრეტულად საქართველოში. დემოკრატია ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია ევროპული ინტეგრაციისათვის. როდესაც ცოტა ხნის წინ კეტრინ ეშტონი და მე შევხვდით პრეზიდენტ სააკაშვილს, ჩვენ მივესალმეთ ბოლოდროინდელი რეფორმის მიღწევებს საქართველოში, და კერძოდ, მივულოცეთ პრეზიდენტს ასოცირების შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებებში მიღწეული პროგრესი. თუმცა, ჩვენ ასევე ხაზი გავუსვით, რომ საჭიროა ვითარების გამოყენება დემოკრატიის კონსოლიდაციისა და საქართველოს ინკლუზიური ეროვნული განვითარების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ ვანიჭებთ ასეთ მნიშვნელობას ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში - ჩვენ გვსურს, რომ საარჩევნო პროცესმა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტები, მაგრამ ასევე იყოს "ღრმა დემოკრატიის" ნიმუში, როდესაც უზრუნველყოფილია მედიის ხელმისაწვდომობა ყველა კანდიდატისათვის და გარანტირებულია პრესისა და შეკრების თავისუფლება და იქმნება გარემო, რომელიც ორიენტირებულია საკითხებზე, და არა პროცესებზე, საბრძოლველად. მე ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით და მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ ძალას საქართველოში, პატივი სცენ საარჩევნო პროცესს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არჩევნები იქნება, უპირველეს ყოვლისა, იმ პოლიტიკური პროგრამებისა და იდეების დემონსტრირება, რომლებიც საქართველოს ყველა მოქალაქისათვისაა სასიკეთო.

მყარი დემოკრატიული საძირკველით, საქართველოს აქვს ყველა შანსი, დააჩქაროს წინსვლა ასოცირებისაკენ, რომელიც გრძელვადიან სტაბილურობასა და კეთილდღეობას მოიტანს.

# ადამიანები კონფლიქტის რეგიონში იმსახურებენ მშვიდობას

პირველი გვერდიდან

- მინდა აღვნიშნო, რომ ეუთო არის ორგანიზაცია, რომელიც 56 სახელმწიფოს აერთიანებს, მათ შორის - საქართველოსა და რუსეთს. ამოსავალი პრინციპი ჩვენი ორგანიზაციისთვის კონსესუსია - ყველა წევრი სახელმწიფო უნდა შეთანხმდეს გადაწყვეტილებაზე. იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა კონსესუსის მიღწევა ეუთო-ს მისიის საქმიანობის საქართველოში გაგრძელების შესახებ, თემა დაიხურა 2009 წელს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომელიც 2008 წელის კონფლიქტის შემდეგ იმართება და რომელსაც ეუთო, გაერო და ევროკავშირი თანათავმჯდომარეობენ, არის ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოება და სტაბილურობა ამ ზონაში. მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე მზად იყოს, კონსტრუქციულად ჩაერთოს ამ პროცესში და გადადგან პოზიტიური ნაბიჯები კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ადამიანები კონფლიქტის რეგიონში იმსახურებენ მშვიდობას, სტაბილურობასა და შესაძლებლობას, იცხოვრონ საკუთარი ცხოვრებით. ეუთო მუშაობს პროექტებზე, რომელიც ამ სახლხის ცხოვრების გაუმჯობესებას დაეხმარება. ეს გულისხმობს სარწყავი და სასმელი წყლის მიწოდებას ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მყოფი დაზარალებული საზოგადოებისთვის. ამ პროექტებს ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში ვახორციელებთ. სამი პროექტი, რომელიც ეუთო-მ ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა, უკვე დასრულდა. ახლა კი ვახორციელებთ წყლის პროექტის მეორე პაკეტს.

ამას გარდა, ეუთო, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, ფასილიტაციას უწევს რეგულარულ შეხვედრებს ინცინდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმებზე. ეს მოლაპარაკებები, ასევე, ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში დაიწყო. ამ მექანიზმის ჩარჩოს ფარგლებში, ეუთო ეხმარება უსაფრთხო გარემოს განმტკიცებას ფერმერებისთვის, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვართან არიან. ეუთო ძალისხმევას არ იშურებს, რომ დაკავებულები გაათავისუფლონ.

ეუთო-ს მისიის აღდგენას ან სხვა ახალი მექანიზმების შექმნას, რათა გაუმჯობესდეს უსაფრთხოება და სტაბილურობა ოკუპირებულ რეგიონებში, ხელს შეუწყობს ეუთო-ს როლის გაძლიერება ინცინდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმებსა და ჟენევის მოლაპარაკებებში. ეუთო-ს მისიის აღდგენის შესაძლებლობა ეუთო-ს ხელმძღვანელებმა, მაღალი თანამდებობის ქართველ პირებთან ერთად, ივნისში განიხილეს. ამ საკითხს, 9-10 ივლისს საქართველოში ჩემი ვიზიტის დროსაც დავაყენებ.

**- რამდენად ფართოდ იქნება ეუთო წარმოდგენილი საქართველოს საპარლამენტო რჩევნებზე? ფართო წარმომადგენლობაში ვგულისხმობთ როგორც დამკვირვებელთა რაოდენობას, ისე დაკვირვების ხანგრძლივობას.**

- მივესალმები ეუთო-ს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მისამართით გაკეთებულ ასეთ ნაადრევ მოწვევას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად. OSCE/ODIHR-მა ივნისის შუა რიცხვებში გამოაგზავნა პირველადი მისია, რომლებმაც დაახლოებით ერთი კვირის წინ შესაბამისი მოხსენებაც წარადგინეს. დამკვირვებელთა ჯგუფის რეკომენდაციით, უნდა განთავსდნენ სადამკვირვებლო მისიები, რომლებიც შეაფასებენ მომავალი არჩევნების შესაბამისობას ეუთო-ს ვალდებულებეთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და ადგილობრივ კანონმდელობასთან.

ძირითადი სადამკვირვებლო გუნდი იქნება 28 კაციანი, გრძელვადიანი დამკვირვებლები, და ისინი საარჩევნო პროცესს მთელი საქართველოს მასშტაბით დააკვირდებიან. მეორე არის მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია - 350 კაცი, რომლებიც უშუალოდ საარჩევნო დღეს დააკვირდებიან საარჩევნო პროცედურებს, მათ შორის - ხმის მიცემას, მათ დათვლას და შედეგების გამოთვლას. ODIHR-მა სთხოვა მონაწილე სახელმწიფოებს, მიავლინონ დამკვირვებლები საქართველოში. ეუთო არჩევნებზე დაკვირვებას არჩევნებამდე ექვსი კვირით ადრე დაიწყებს და ის არჩევნების შემდგომ პერიოდზე დასაკვირვებლადაც დარჩება. მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია კი საქართველოში არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ჩამოვა.

**- ეუთოს დამკვირვებლები მონაწილეობენ მხოლოდ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის რეგულირებაში. საქართველოზე უკვე გკითხეთ, მაგრამ ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მყიფე მშვიდობა. ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავაც ხშირია ტერორისტული აქტები, შეტაკებები სახელისუფლებო ძალებთან და ბანდიტიზმი. აქვს თუ არა ეუთო-ს რაიმე ინსტრუმენტი ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე ზემოქმედებისთვის?**

- მართლაც, ეუთო მხარს უჭრს ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მცდელობას, გრძელვადიან პერსპექტივაში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი გაძლიერდეს და ინცინდეტები გამოიძიონ. ეს საკითხი, აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან საუბრისას, აზერბაიჯანში ჩემი ვიზიტის დროს დავაყენე და ამაზე ვისაუბრებ სომხეთში 11-12 ივლისს. ზოგადად, ეუთო მხარს უჭერს ყველა მონაწილე სახელმწიფოს, განახორიელონ სტრუქტურული რეფორმები, რათა ეფექტურად გაუმკლავდნენ უსაფრთხოების არსებულ გამოწვევებს. ეუთო-ს ფარგლებში, პოლიტიკურ დონეზე, ყურადღება ექცევა მოვლენათა განვითარებას ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ჩვენ ამ რეგიონში არ ვართ წარმოდგენილი.

**- ირლანდიას - ქვეყანას, რომელიც თავმჯდომარეობს ეუთო-ს მიმდინარე წელს, აქვს დიდი გამოცდილება ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარებისა. რამდენიმე კვირის წინათ, უკიდურესად რადიკალური პარტიის - შინფეინის ლიდერმა მარტინ მაკგინესმა ხელი ჩამოართვა ბრიტანეთის დედოფალს და ეს იყო მნიშვნელოვანი აქტი. როგორც ეუთო-ს გენერალურ მდივანი, რას ურჩევდით ქართულ საზოგადოებას, რის გაზიარება შეიძლება ირლანდიის გამოცდილებიდან?**

- მართლაც, ირლანდიამ, რომელიც ხელმძღვანელობს ეუთო-ს 2012 წელს, საკუთარ პრიორიტეტად განსაზღვრა გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარება. ეუთო-ს ოფისის ხელმძღვანელის, ირლანდიის ვიცე-პრემიერის ემონ გილმორის ინიციატივით, აპრილში დუბლინში ჩატარდა კონფერენცია, რომელმაც ჩრდილოეთ ირლანდიის მაგალითზე ფოკუსირება მოახდინა კონფლიქტის მშვიდობიანი დაგაჭრის გამოცდილებაზე. ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესების მონაწილეებმა იმის ილუსტრირება მოახდინეს, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით უიმედო სიტუაციაში ჩამოყალიბდეს საერთო მომავალი. მშვიდობის მიღწევას დრო, დიდი ძალისხმევა, ნდობა და რწმენა სჭირდება. თითქმის 30 წელი დასჭირდა "დიდი პარასკევის" შეთანხმების მიღწევას, რომელმაც ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობა მოიტანა. მე ვიტყოდი, მშვიდობის მისაღწევად და მის შესანარჩუნებლად აუცილებელია ძალის გამოუყენებლობა, ღია და გამჭვირვალე კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებს შორის და საზოგადოებებში ნდობის ამაღლება. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვცდილობთ, გავაკეთოთ გაჭიანურებული კონფლიქტების მოსაგვარებლად. მათ შორის არის ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის შენარჩუნება და იმ პროეტების იმპლემენტაცია, რომელიც კონფლიქტის რეგიონებში ადამიანიებს დაეხმარება.

*ესაუბრა*
*მაგდა ლეკიაშვილი*

# ქრისტინემ ისარი საოლიმპიადოდ მოზიდა

გიგა გურასაშვილი



საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს ლონდონში მშვილდოსნებიც ეყოლება. წარმომადგენელი მხოლოდ ერთია - ქრისტინე ესებუა, რომელმაც ქეთევან ლოსაბერიძის შემდეგ ერთადერთმა შეძლო მსოფლიო ჩემპიონატის მედლის მოპოვება. ვერცხლის მედალი ქრისტინემ შარშან ტურინში დაისაკუთრა (ლოსაბერიძემ მსოფლიო ჩემპიონატების ორი ოქროს მედალი გუნდურში მოიპოვა და არა პირადში).

ქართველი მშვილდოსანი ახლა ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება და თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მას და მის კორეელ მწვრთნელს, ან ჰეიუნგ სეიუნგს სურთ, იქნებ მედალსაც გამოჰკრან ხელი. ქრისტინე ესებუას ნამდვილად შესწევს ამის ძალა. ყოველ შემთხვევაში, მან ეს მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე დაამტკიცა. აღარაფერს ვამბობთ იმავე წელს ევროპის ზამთრის ჩემპიონატის ოქროს, გუნდურში მოპოვებულ ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედლებზე. ახალი კი ის არის, რომ მაისის მიწურულს ამსტერდამის ევროპის ჩემპიონატზე თავის ნადავლს ბრინჯაოს მედალიც შემატა.

საგზურების განაწილების ცოტა უცნაური წესი რომ არა, საქართველოს ნაკრები ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე, სულ ცოტა, ორი მშვილდოსნით უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ, იმის გამო, რომ ინდივიდუალურში ქვეყანას მხოლოდ ერთი საგზური ეძლეოდა, ტურინის მსოფლიო პირველობაზე პირად პირველობაში სალიცენზიო ზონაში შესული ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი ხათუნა ნარიმანიძე ულიცენზიოდ დარჩა. ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც იმავე მსოფლიო ჩემპიონატის გუნდურში ჩვენს ნაკრებს დამართეს. საქართველოს ნაკრებს თითქმის მოპოვებული სამი საგზური წაართვეს, როცა მასპინძელ იტალიასთან მოგებული შეხვედრა წესების დარღვევით გადაათამაშებინეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ლონდონში სამი მონაწილე გვეყოლებოდა და, პირადთან ერთად, გუნდურშიც ვიასპარეზებდით.

ტურინის მსოფლიო ჩემპიონატმა ისიც დაამტკიცა, რომ საქართველომ სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც უკრაინიდან სამშობლოში დააბრუნა ქრისტინე.

ესებუა აფხაზეთიდანაა - დევნილი ოჯახის შვილია, რომელიც მშობლებმა ომს გაარიდეს და უკრაინაში გადაბარგდნენ. მალე გოგონა სახელოვანი მწვრთნელის მონიკა სიმუნსის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც ქრისტინე მშვილდოსნობაში დაახელოვნა. თანაც ისე, რომ მალე უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდა და ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებიც მოიპოვა.

საქართველოში დაბრუნება თავად სპორტსმენსაც სურდა - ამ თემაზე პირველად დედამისი დაუკავშირდა ჩვენს ფედერაციას.

ლონდონის ოლიმპიურ სასროლეთზე მხოლოდ ქრისტინე ესებუას იმედად ვართ, რომელიც მისთვის მეორე თამაშებზე (პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე შესარჩევი ეტაპი მე-17 შედეგით დაასრულა, ფლეი-ოფში კი 1/16-ფინალიდან გამოვარდა) მოსინჯავს ძალას.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დღეში ორჯერ ვარჯიშობს მარტო, თანაგუნდელების გარეშე. მშვილდოსნობის ფედერაციაში ჩათვალეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ მწვრთნელი მხოლოდ ესებუას მოამზადებდა და მთელ ყურადღებას მასზე გადაიტანდა, რაც გარკვეულწილად სწორი ნაბიჯია. ნაკრების კორეელი მწვრთნელი ესებუას ყოველ გასროლას ვიდეოფირზე იწერს და მერე შეგირდთან ერთად განიხილავს, აანალიზებს, რისი საშუალებაც გუნდთან ერთად მუშაობის შემთხვევაში არ ექნებოდა.

არადა, მშვილდოსნობა არ იზიდავდა. მხოლოდ დედის თხოვნით დაიწყო ვარჯიში. დედა ყოფილი მშვილდოსანია, რომელმაც სამივე შვილი აზიარა სპორტის ამ სახეობას.

ქრისტინე ესებუა ვაკეში 22 ივლისამდე ივარჯიშებს, მერე კი ლონდონში გაემგზავრება დელეგაციის პირველ ჯგუფთან ერთად, რადგან ჩვენი ნაკრებიდან ყველაზე ადრე ის ჩაებმება თამაშებში - 27 ივლისს ოფიციალური ვარჯიშია, 28-ში კი - პირადი პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირი.

# თავისუფლებმა ლონდონში წამსვლელი შვიდეული დაასახელეს

ბერძენ-რომაელების შემდეგ თავისუფლებმაც დაასახელეს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელი გუნდის შემადგენლობა. თავისუფლები ოლიმპიურ ხალიჩაზე შვიდივე წონით კატეგორიაში იასპარეზებენ, ბერძნულ-რომაული ნაკრები კი ექვს წონაშია დაკომპლექტებული. ორივე სახეობის წარმომადგენლები ბოლო მოსამზადებელ შეკრებას ბორჯომში გაივლიან, მერე კი ეტაპობრივად გაემგზავრებიან ლონდონში.

ოლიმპიური თამაშები 27 ივლისს გაიხსნება. ქართველი მოჭიდავეები 2 აგვისტოს დაიწყებენ ასპარეზობას.

**საქართველოს ნაკრები:**

55 კგ. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი
60 კგ. მალხაზ ზარქუა
66 კგ. ოთარ თუშიშვილი
74 კგ. დავით ხუციშვილი
84 კგ. დავით მარსაგიშვილი
96 კგ. გიორგი გოგშელიძე
120 კგ. დავით მოძმანაშვილი

# ტოჩინოშინის ორიდან ორი

ნაგოიას ბაშო ორი დღეა მიმდინარეობს და ქართველთაგან ერთადერთი, ვინც წარმატებით მიიწევს წინ, ტოჩინოშინის შიკონათი მოასპარეზე ლევან გორგაძეა. აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირას წოდებით მოასპარეზე 24 წლის სუმიტორმა პირველ დღეს მასზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომ მაეგაშირა შოჰოძანის გუშინ მე-5 მაეგაშირა რუსი არანიც მიაყოლა.

ვლადიკავკაზელ ალან გაბარაევზე გამარჯვებით ტოჩინოშინი მასთან ურთიერთშეხვედრებში 6:5 დაწინაურდა.

აღებული ტემპის გაგრძელებას ტოჩინოშინი დღეს შეეცდება დასავლეთის მე-4 მაეგაშირა იაპონელ ტაკეკაძესთან, რომლისთვისაც ივლისის ბაშო წარუმატებლად დაიწყო. ქართველი ტაკეკაძეს ურთიერთშეხვედრებშიც საგრძნობლად ჯაბნის - 8 მოგება, 2 მარცხი.

ნაგოიას ბაშოზე ჯერჯერობით წარუმატებლად გამოდის უმაღლესი -მაკუუჩი დივიზიონის ქართველი გოლიათი თეიმურაზ ჯუღელი. გაგამარუს მეტსახელით ცნობილმა აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირამ აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა ჰომაშო დოჰიოს კიდესთან კი მიიმწყვდია, მაგრამ უპირატესობა ვერ გამოიყენა და დამარცხდა.



*ტოჩინოშინი წარმატებული სერიის გაგრძელებას დღესაც შეეცდება*

დღეს გაგამარუ პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდება მე-5 მაეგაშირა ტაკაიასუსთან, რომელთანაც მაისის ბაშოზე დამარცხდა.

პირველ დღეს მოგებული ბრძოლის შემდეგ წაგება იგემა რანგით მეორე - ძურიოს დივიზიონის ქართველმა ბინადარმა ლევან ცაგურიამ. ქართული სუმოს პიონერი სამშაბათს დივიზიონის მე-5 ნომერ იოშიაძუმასთან მოსინჯავს ძალას. წლეულს ქართველი და იაპონელი ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. მარტის ბაშოზე კოკაიმ ოშიდაშით გაიმარჯვა.

ბაშოს ფავორიტები თითქმის უდანაკარგოდ მიიწევენ წინ. ორ-ორი მოგება აქვთ იოკოძუნა ჰაკუჰოს და ოძეკებს - კისენოსატოს, კოტოშოგიკუს, ბარუტოს, ჰარუმაფუჯის და კაკურიუს. ერთადერთი გამონაკლისია ბულგარელი ოძეკი კოტოოშუა რომელმაც სეკივაკე გოეიდოსთან წაიფორხილა.

## ჯინობილი, პარკერი და Dream Team

ვენესუელაში დასრულდა ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი კალათბურთში. შესარჩევის დროს ნიგერიამ სპილოებზე, გეპარდებზე, ბერძნებსა და დომინიკანელებზე ინადირა. მესამე ადგილისთვის მატჩში ნიგერიამ დომინიკანელებს 88:73 დაუსვა და ოლიმპიადის ვიზა მიიღო. იკე დიოგუმ 25 ქულა და 10 მოხსნა აკრიფა. ნიგერიამ საბერძნეთსაც მოუგო. ბიჭებმა მაგრად მოინდომეს. მანამდე ოლიმპიური საგზურები თავის ფასში რუსეთმა და ლიტვამ აიღეს. რუსები ლონდონში ანდრეი კირილენკოსთან ერთად ჩავლენ და დევიდ ბლატს საინტერესო გუნდი ეყოლება. ლიტვა კალათბურთია. ლინას კლეიზა და შარუნას იასიკიავიჩუსი კიდევ ერთ შესასრულებელ მისიაზე მიდიან.

მერე ოლიმპიური ტურნირის ორი ჯგუფი შეკრეს.

**A ჯგუფი: Dream Team, ტუნისი, ლიტვა, საფრანგეთი, ნიგერია, არგენტინა.**

**B ჯგუფი: ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია, ავსტრალია, ესპანეთი, რუსეთი.**

პირველი ჯგუფის ფავორიტი ამერიკის კრიმინალური ბანდაა და მეორეში ყველაფერი ესპანეთმა უნდა მოიგოს. ლებრონ ჯეიმსი, კობი ბრაიანტი და კევინ დიურანი კიდევ ერთხელ გაესაუბრებიან ტონი პარკერს, ემანუელ ჯინობილის და მოქნილ ლიტვას. თითო ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ოთხი გუნდი გადის. კალათბურთელების გარჩევები 28 ივლისს დაიწყება და 12 აგვისტოს დამთავრდება.

## მარკუს კემბი "ნიქსში" გადადის

"ნიქსი" პენსიონერებს აგროვებს. თუ გუნდი ცოტას მოიცდის, მალე ვარჯიშს აიზია ტომასი და ჯონ სტოქტონიც იწყებენ და "ნიქსში" თითო კარგ სეზონსაც ითამაშებენ. კარგი პერსპექტივაა, ჯონი და აიზია კარგ ფორმაში არიან. მანამდე გუნდმა აიყვანა მისტერ ჯეისონ კიდი და ამ დღეებში გააფორმებს კონტრაქტს კიდევ ერთ მოხუც ახალგაზრდასთან, მარკუს კემბისთან. 38 წლის კემბის წაყვანა ჯერ "მაიამის" უნდოდა, მაგრამ საკონტრაქტო მოლაპარაკება ერთჯერადი იყო და კემბიმ "ნიქსი" აირჩია. საინტერესოა.

კემბი მომთაბარე ცენტრია. კარიერა "ტორონტოში" (1996/97) დაიწყო და კიდევ ხუთი გაჩერება გააკეთა - იყო "ნიქსში" და გუნდთან ერთად სუპერფინალში (1999) წაითამაშა, სადაც "სან ანტონიოსგან" 1:4 აირტყა. იმ სერიაში კემბიმ ტრავმირებული პატრიკ იუინგი შეცვალა და საქმე გააკეთა. მარკუსი იყო "დენვერში", "კლიპერსში", "პორტლენდში" და შარშანდელი რეგულარული "ჰიუსტონში" დახურა. წინა რეგულარულში კემბი საშუალოდ 4.9 ქულას, 9.0 მოხსნას და 1.8 პასს აგროვებდა. თავის 1.4 დაფარებასთან ერთად. მარკუსი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია. კემბი კარიერით 2.4 (2 317) დაფარებას და 1.0 (959) ჩაჭრას იღებს. მის ანგარიშზე 9 220 (9.7) ქულა და 9 433 (9.9) მოხსნაც ზის. "ნიქსმა" ტაისონ ჩენდლერისთვის იდეალური შემცვლელი დაირტყა. კიდევ ერთი კარგი დამცველი ამბიციური გუნდისთვის.

მარკუს კემბი კარგად უკრავს საქსოფონზეც. ჯეისონ კიდი ნორმალური დრამერია. საინტერესო ბენდი შეიკვრება.

## ანდრეი კირილენკო ცსკაში რჩება

ანდრეი კირილენკო შემდეგ სეზონშიც ცსკაში იქნება. ფორვარდს რამდენიმე საინტერესო ვარიანტი ჰქონდა და საბოლოოდ რუსეთში დარჩენა გადაწყვიტა. ცსკასთან ახალი ხელშეკრულება ჯერ არ არის გაფორმებული, მაგრამ, რამდენიმე უმნიშვნელო ნიუანსის გარდა, ყველაფერი მოგვარებულია. კირილენკომ შარშან 5.85 მილიონი დოლარი მიიღო. სავარაუდოდ, ეს თანხა 1.15 მილიონით გაიზრდება და ანდრეი 7 მილიონზე ავა. ის ამას იმსახურებს და ცსკა კირილენკოსთან ერთად რუსეთის ჩემპიონატის და ევროლიგის ფავორიტი იქნება.

კირილენკომ გადახედა "ვაშინგტონის" ვარიანტს და არ მოეწონა. კირილენკოს დაუკავშირდნენ "მაიამის" ბოსებიც და ანდრეიმ ლებრონთან ერთად პრობლემების მოგვარების პერსპექტივა გადადო. ან ეს თემა საბოლოოდ დაიხურა. იყო "ტორონტოს" ვარიანტიც.

კირილენკო ევროლიგაში ტიმ დანკანი იყო და ცსკამ მაინც ვერ დასვა ბონუსი. ანდრეი 17 თამაშში საშუალოდ 14.1 ქულას, 7.5 მოხსნას, 2.4 პასს, 1.9 დაფარებას და 1.5 ჩაჭრას აგროვებდა. უნივერსალის უნივერსალური სტატისტიკა. ოთხთა ფინალში კირილენკომ "პანათინაიკოსთან" 17 ქულა, 9 მოხსნა და 4 დაფარება წამოიღო. ფინალში, "ოლიმპიაკოსთან" ანდრეის 12 ქულა, 10 მოხსნა და 3 ჩაჭრა აქვს. ცსკა ამ სეზონში ისევ ჯეკპოტზე მიდის. ალბათ, დარჩება გუნდში ნენად კრსტიჩიც. უკვე ახალ, ძველ ეტორე მესინასთან და კირილენკოსთან ერთად ცსკა რეალური ფავორიტია.

## "მაიამის" მისია - რაშარდ ლიუისი

პატ რაილიმ აიშვა. "მაიამის" ბოსმა რამდენიმე დღის წინ "ბოსტონიდან" რეი ალენი წამოიყვანა და კიდევ ერთი მოხუცი მილიონერის დამატებას აპირებს. ფლორიდული ბენდის დირიჟორი რაშარდ ლიუისს დაუკავშირდა და ვეტერან ფორვარდს ორწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა. ნორმალური პირობებით. თუ ლიუისი ბრიოლინიანი ბოსის წინადადებას მიიღებს, ახალი კონტრაქტით 11 მილიონ დოლარს მისცემენ. 32 წლის ლიუისს მანამდე "ლეიკერსი", "ბოსტონი", "ნიქსი" და "ატლანტა" დაუკავშირდა.

რაშარდმა შარშან "ვაშინგტონში" დაისვენა. ცოტა დროში (26.0 წუთი) ცოტა ქულას (7.8) და 3.9 მოხსნას ტოვებდა. ლიუისს შთამბეჭდავი კარიერა აქვს. მანამდე იყო "სიეტლში" და "ორლანდოში". ზედიზედ სამ სეზონში (2004/05-2006/07) საშუალოდ 20 და მეტ ქულას აგროვებდა, არ ეზარებოდა დაცვაში ჩაჯდომა, სასარგებლო ბიჭი იყო. "ორლანდოსთან" ერთად გავიდა სუპერფინალში, სადაც ფლორიდელები 1:4 აგებენ "ლეიკერსთან". რაშარდი იმ სერიაშიც სასარგებლო შუტერი იყო. რაშარდი კარიერით - 16.1 (15 026) ქულა, 5.6 (5 202) მოხსნა. ლიუისმა ორჯერ All-Star-ში ითამაშა. მის ზურგჩანთაში 1 690 ზუსტი სამიანია. რაილიმ სწორი არჩევანი გააკეთა.

ლიუისი კარგი მესამე ნომერია. ამბობენ, რომ "მაიამიც" კარგი გუნდია.

# მისის უილიამსი

ალექსანდრე ასათიანი

სტენფორდში WTA კიდევ ერთ ერთკვირიან ტურნირს ატარებს და ამერიკულ ჰარდზე საინტერესო შემადგენლობა ჩადის. შარშან სერენა უილიამსმა სტენფორდში ჩაისეირნა, ფინალი მოიგო და დაისვენა. ქალბატონი სერენა იმ მომენტში მეორე ასეულში (169) ზის და სერენა ნებისმიერ შემთხვევაში სერენაა.

ამ სეზონში უილიამსი სტენფორდში ჯეკპოტით ჩადის. უიმბლდონზე გოგონამ გლოკით ირბინა, ყველა დაყარა და მეხუთედ გახდა როიალური გარჩევების დედოფალი. სერენას კარიერაში 14 მოგებული მეიჯორი აქვს. 14 - ერთეულებში. რეიტინგში პროგრესია, სერენა მეოთხეა და თუ თამაში არ დაეზარება, ამერიკის ღია პირველობამდე პირველი იქნება. სტენფორდში უილიამსმა შარშან აღებული ბონუსი უნდა დაიცვას და მერე სხვა ტურნირებს მიხედავს. უნდა მიხედოს.

სტენფორდში მისის უილიამსი პირველი ნომერი იქნება. მერე მოდის მარიონ ბარტოლი. ფრანგმა სერენასთან შარშან ფინალი 5:7, 1:6 წააგო და იქ თამაში რეალურად იცის. მარიონი კიდევ ორჯერ იყო სტენფორდის ფინალში. 2008. აგებს კანადელ ალექსანდრა ვოზნიაკთან - 5:7, 3:6. ერთი წლის შემდეგ ბარტოლიმ ვენუს უილიამსს ერთი სეტი მისცა, ორი წაართვა და ჩემპიონი გახდა (6:2, 5:7, 6:1). ბარტოლი სერენას შემდეგ პირველი ფავორიტია.

მერე მოდის დომინიკა ციბულკოვა. სლოვაკმა ჰარდზე თამაში იცის და თუ სირბილი არ დაეზარება, შორს გასვლა შეუძლია. ციბულკოვას პრო ტურზე ერთ-ერთი საუკეთესო ბექჰენდი აქვს. შარშან დომინიკა სტენფორდის ნახევარფინალში იჯდა.

ციბულკოვა უიმბლდონზე პირველ წრეში გავარდა. დედოფლების და ჯაგერების ქვეყანაში ტურისტად ჩავიდა ელენა იანკოვიჩიც. სერბიც პირველ წრეში გადაჭრეს და იანკოვიჩი სტენფორდში მეოთხე ნომერი იქნება. ელენა რამდენიმე წლის წინ რეიტინგის ლიდერი იყო. დღეს იანკოვიჩი სერბეთშიც ანა ივანოვიჩის შემდეგ ზის.

საინტერესო უნდა იყოს 19 წლის სლოუნ სტივენსისა და ბრიტანელი ჰიტერ უოთსონის გარჩევა. სტივენსი წელს მოსაგებს იგებს, სტაბილურად სტაბილურია და უიმბლდონზე რამდენიმე თამაში აიღო. უიმბლდონზე ორივე მესამე წრეში შევიდა და სტივენსმა TOP 50-ის ვიზაც მიიღო. უოთსონიც პირველ ასეულშია (79). იქვეა კიდევ ერთი ბრიტანელი ენ კეოტავონგი (75).

წყვილებში პირველი ნომერი იარმილა გაიდოშოვამ და ვანია კინგმა მიიღეს. მერე მოდიან რექუელ კოუპსჯონსი და აბიგაილ სპირსი. ეს წყვილი უიმბლდონზე მეოთხედფინალში ჩემპიონებმა - უილიამსებმა დაამარცხეს.

სტენფორდში საინტერესო მატჩები იქნება. უილიამსთან ერთად ეს მატჩები სულ საინტერესო იქნება.

პალერმოშიც ტურნირი დაიწყო და იტალიურ გრუნტზე პირველი ორი ნომერი იტალიელებისაა - სარა ერანი და რობერტა ვინჩი. პალერმოში ჩავიდა ანა ტატიშვილიც და პირველ წრეში კვალიფიკანტს ან იღბლიან წაგებულს შეხვდება. ანა ყველა შემთხვევაში ფავორიტი უნდა იყოს. თუ ამ ეტაპს გადის, მერე მოდის კარლა სუარეს ნავარო. ესპანელიც უცნობ გოგონას გაესაუბრება და მოსაგებს მოიგებს. ანამ ერთეულთა რეიტინგში სამი ადგილი დაკარგა.

პალერმოს მესამე ნომერი გერმანელი ჯულია გიორგესი იქნება. ნიჭიერი გერმანელიც ფავორიტია.

ATP ოთხ წერტილში გახსნის სლოტ კლუბს და ყველაზე საინტერესო ბანდა შვედურ ბაშტადში იქნება.

რეიტინგის მეხუთე ნომერი და ტურნირის 2007 წლის ჩემპიონი, ესპანელი დავიდ ფერერი აქ თითქმის ნადალია. შარშან დავიდს შვედმა რობინ სოდერლინგმა 6:2, 6:2 შეუსრულა. პირველ სამ განთესილში შედის კიდევ ორი ესპანელი - რეიტინგის მეათე ნომერი ნიკოლას ალმაგრო და ბაშტადის დებიუტანტი ალბერტ რამოსი.

ფერერს კარიერაში საუკეთესო სეზონი აქვს. უიმბლდონის ჩათვლით, დავიდმა მიმდინარე სეზონში უკვე 47 თამაში მოიგო. პრო ტურის საუკეთესო შედეგი. ორი ტურნირი მოიგო ალმაგრომ და უკვე 28 მოგება გაიფორმა. ფერერს და ნიკოლასს ბაშტადში მოგება/წაგების ერთნაირი მაჩვენებელი (14:5) აქვთ. ველური ბარათი მისცეს ტურნირის ვეტერანს, კიდევ ერთ ესპანელს, ტომი რობრედოს. სენიორ რობრედომ ბაშტადი ორჯერ (2006, 2008) აიღო.

დანარჩენი განთესილები - იარკო ნიემინენი (ფინეთი), მიხაილ კუკუშკინი (ყაზახეთი), გრიგორ დიმიტროვი (ბულგარეთი), ფილიპო ვოლანდრი (იტალია) და რუმინელი ადრიან უნგური. ნიემინენი (2006) და ვოლანდრი (2007) ბაშტადში ნახევარფინალამდე მიდიოდნენ.

ნიუპორტში მოქმედი ჩემპიონი ჯონი იზნერია. ორმეტრიანმა ამერიკელმა შარშან, ფინალში, კომპაქტურ ბელგიელს, ოლივიე როხუსს 6:3, 7:6 (6) მოუგო. რვა განთესილში შედიან იაპონელი კეი ნიშიკორი, კანადელი ეისმენი მილოშ რაონიჩი, დენის ისტომინი (უზბეკეთი), რუსი ალექს ბოგომოლოვი, რაიან ჰარისონი (აშშ), კიდევ ერთი ამერიკელი დონალდ იანგი და ლუქსემბურგელი ჟილ მიულერი. ფავორიტი იზნერია. უიმბლდონზე ჯონი კოლუმბიელმა ალეხანდრო ფალამ ხუთ სეტში გააჩერა. ნიუპორტი სხვა ტერიტორიაა. იქ იზნერი თითქმის ფედერერია.

### ATP-ს ახალი რეიტინგი

1. **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) ..**11 075**
2. **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) ........**11 000**
3. **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) .........**8 905**
4. **ენდი მარი** (დიდი ბრიტანეთი) .......**7 460**
5. **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) .............**5 430**
6. **ჟო-ვილფრედ ცონგა** (საფრ.) ........**5 230**
7. **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) ..............**4 515**
8. **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) **.....3 215**
9. **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგ.) **.3 180**
10. **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) ...**2 605**
11. **ჯონ იზნერი** (აშშ) ........................**2 520**
12. **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) **..........2 480**
13. **მარდი ფიში** (აშშ) ..........................**2 355**
14. **ხუან მონაკო** (არგენტინა) **..........2 130**
15. **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) **..........1 825**
16. **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) **1 810**
17. **გაელ მონფიზი** (საფრანგეთი) .....**1 715**
18. **კეი ნიშიკორი** (იაპონია) ...............**1 680**
19. **ალექს.დოლგოპოლოვი** (უკრ.) ..**1 620**
20. **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) .........**1 600**
21. **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმ) .....**1 570**
22. **ფლორიან მაიერი** (გერმანია) ......**1 545**
23. **მილოშ რაონიჩი** (კანადა) ............**1 540**
24. **მარსელ გრანოლერსი** (ესპ) ........**1 530**
25. **სტანისლას ვავრინკა** (შვეიც) **.....1 470**
26. **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) ..........**1 420**
27. **ენდი როდიკი** (აშშ) .......................**1 395**
28. **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) .............**1 390**
29. **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი) **1 355**
30. **ანდრეას სეპი** (იტალია) ................**1 355**

### WTA-ს ახალი რეიტინგი

**1(2). ვიქტორია აზარენკა** (ბელ) ........**8 800**
**2(3). აგნეშკა რადვანსკა** (პოლ) **.........8 530**
**3(1). მარია შარაპოვა** (რუსეთი) **........8 370**
**4(6). სერენა უილიამსი** (აშშ) **............7 360**
**5(5). სამანტა სტოსური** (ავსტრალ) **.6 195**
**6(4). პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) **...........5 275**
**7(8). ანგელიკ კერბერი** (გერმანია) **..5 170**
**8(7). კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია) **..4 091**
**9(10). სარა ერანი** (იტალია) **..............3 410**
**10(9). მარიონ ბარტოლი** (საფრ) **.......3 400**
**11(11). ნა ლი** (ჩინეთი) **........................3 245**
**12(14). ანა ივანოვიჩი** (სერბეთი) **......3 190**
**13(12). ვერა ზვონარევა** (რუსეთი) **...3 160**
**14(19). მარია კირილენკო** (რუსეთი) **2 635**
**15(13). დომინიკა ციბულკოვა** (სლოვ) **2 625**
**16(16). კაია კანეპი** (ესტონეთი) **........2 514**
**17(17). ფლავია პენეტა** (იტალია) **......2 305**
**18(15). საბინე ლისიცკი** (გერმანია) **2 297**
**19(18). ანდრეა პეტკოვიჩი** (გერმ) **....2 260**
**20(21). ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) **2 220**
**21(20). ნადია პეტროვა** (რუსეთი) **.....2105**
**22(26). ფრანჩესკა სკიავონე** (იტ) **.....2 050**
**23(22). ლუსი საფაროვა** (ჩეხეთი) **.....2 040**
**24(24). ჯულია გიორგესი** (გერმანია) **1 945**
**25(27). ჟი ჟენი** (ჩინეთი) **.......................1 910**
**76(73). ანა ტატიშვილი** (საქართველო) **832**
**223(201). მაკა ჩახნაშვილი** (საქართვ) **264**
**347(303). სოფია შაფათავა** (საქართვ) **124**
**387(423). სოფია ქვაცაბაია** (საქართვ) **101**
**461(478). თათია მიქაძე** (საქართველო) **69**



*სერენა უილიამსი სტენფორდში პირველი ნომერია*

NTour

ტურისტული კომპანია ენ ტურის მომსახურების ოფისში, ფასდაკლების ვაუჩერის წარდგენის შემთხვევაში, საჩუქრად მიიღებთ

5%-იან

ფასდაკლებას.

ANTALYA
3* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 592 $-დან
4* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 694 $-დან
5* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 799 $-დან

BODRUM
3* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 766 $-დან
4* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 812 $-დან
5* სასტუმრო +ფრენა, 8 დღე / 997 $-დან

HURGADA
3* სასტუმრო +ფრენა 11 დღე / 491 $-დან
4* სასტუმრო +ფრენა 11 დღე / 555 $-დან
5* სასტუმრო +ფრენა 11 დღე / 630 $-დან

საქართველო, 0162, თბილისი, ფალიაშვილის 110
ტელ.: (+995 32) 2 400 400; ელ. ფოსტა: ntour@ntour.ge
www.ntour.ge